# სამეწარმეო განათლება საქართველოს პროფესიული განათლების სისტემაში

## არსებული მდგომარეობა და სამომავლო პერსპექტივები


ერიკ ლივნი

სოფიკო სხირტლაძე

თამთა მარიდაშვილი

მარიამ ზალდასტანიშვილი


ISET

# სარჩევი


შესავალი ..... 2

არსებული მდგომარეობის ანალიზი ..... 3

- რა ისწავლება? ..... 3
- რა მასალები გამოიყენება? ..... 4
- ვინ არიან მასწავლებლები? ..... 5
- როგორ ისწავლება მოდული? ..... 6
- დამატებითი და შემდგომი აქტივობები ..... 7
- კერძო სექტორის როლი ..... 9

სამეწარმეო განათლების გაუმჯობესების, მომავალი მეწარმეების გამოვლენისა და მათთვის შესაბამისი გარემოს შექმნის იდეები ..... 11

დანართი ა: ევროპული ქვეყნების სამეწარმეო განათლების მოდელებისა და მეთოდოლოგიების მიმოხილვა ..... 16

დანართი ბ: ინტერვიუების შეჯამება ..... 23

- საჯარო პროფესიული განათლების დაწესებულებები ..... 23
- კერძო პროფესიული განათლების დაწესებულებები ..... 37
- ბატონ კახაბერ ერაძესთან ინტერვიუს შეჯამება ..... 38

# შესავალი

ეს პროექტი, რომელიც გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტოსა და მიუნხენისა და ზემო ბავარიის სავაჭრო-სამრეწველო პალატის მხარდაჭერითა და საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან მჭიდრო თანამშრომლობით განხორციელდა, მიზნად ისახავს ქართულ პროფესიული განათლების დაწესებულებებში სამეწარმეო განათლების გაძლიერებას. ამ მიზნით, პროექტი განიხილავს მეწარმეობის სწავლების **საუკეთესო ევროპულ მაგალითებს** და აანალიზებს ქართულ პროფესიული განათლების დაწესებულებებში **მეწამეობის განათლების სწავლებასთან დაკავშირებულ მდგომარეობას**. ამ ანალიზზე დაყრდნობით, პროექტი პროფესიული განათლების დაწესებულებებს სთავაზობს სამეწარმეო განათლების გაუმჯობესების, ნიჭიერი და დაინტერესებული მომავალი მეწარმეების გამოვლენისა და მათთვის შეძენილი უნარ-ჩვევებისა და ცოდნის გამოცდისთვის საჭირო გარემოს შექმნის გზებს.

დღემდე ბევრი ქართველისთვის **პროფესიული განათლება არ არის მიმზიდველი ალტერნატივა**. მაგალითად, EUVEGE-ის (2016 წ.) თანახმად, 20-24 წლის იმ ახალგაზრდების წილი, რომლებიც პროფესიული განათლების დაწესებულებებში ჩარიცხული სტუდენტების უმრავლესობას წარმოადგენს, მხოლოდ 1.19%-ია. ქართულ პროფესიული განათლების დაწესებულებებში სამეწარმეო განათლების მხარდაჭერამ შეიძლება გააძლიეროს სტუდენტთა ცნობიერება მეწარმეობის, როგორც შესაძლო კარიერული ალტერნატივის შესახებ და, დიდი ალბათობით, **გაზარდოს პროფესიული განათლების დაწესებულებების,** როგორც უმაღლესი განათლების ალტერნატივის, **მიმზიდველობა** ნებისმიერ ასაკობრივ ჯგუფში. მეტიც, სამეწარმეო განათლებისადმი სისტემურმა მიდგომამ შეიძლება გაზარდოს პროფესიული განათლების დაწესებულებების კურსადმთავრებულთა **თვითდასაქმების შესაძლებლობები** და ხელი შეუწყოს საქართველოში **მეწარმეობის კულტურის** განვითარებას.

საქართველოში, მეტწილად, პროფესიული განათლება სკოლის ცხრაკლასდამთავრებულთა არჩევანია, ვისაც სჭირდება მომზადება, რომ **პირდაპირ შევიდეს შრომის ბაზარზე.** ამიტომ, ქართული პროფესიული განათლების დაწესებულებები აქცენტს აკეთებენ **სტუდენტების კონკრეტულ პროფესიაში მომზადებაზე და არა მათ მეწარმეებად აღზრდაზე.** ეს განსაკუთრებით კერძო კოლეჯებს ეხება, რომელთაც არ აქვთ სტუდენტების მომზადებისთვის საჭირო ინსტრუმენტები და აღჭურვილობა ისეთი პოტენციურ სამეწარმეო პროფესიებში, როგორიცაა, მაგალითად, ფერმერი და სახელობო საქმე (იხ. დანართი ბ). მიუხედავად იმისა, რომ პროფესიული განათლების დაწესებულებებმა უკვე დაიწყეს სასწავლო პროგრამებში ახლახან შემუშავებული სავალდებულო **მეწარმეობის მოდულის** შეტანა, სამეწარმეო განათლება ჯერ კიდევ ძალიან **თეორიულად და ზედაპირულად** ისწავლება და არ აქვს **პრაქტიკაზე ორიენტირებული სასწავლო შედეგები,** რაც უკეთ მოამზადებს სტუდენტებს ბიზნესის დაწყებისა და მართვისთვის. მეტიც, არ არსებობს სისტემური მიდგომა, რომლის მიზანიცაა ნიჭიერი და დაინტერესებული მომავალი მეწარმეების აღმოჩენა და მათთვის შესაბამისი გარემოს შექმნა.

მეწარმეობას, როგორც პროფესიული განათლების პროგრამის კომპონენტს, საქართველოში იმდენივე ყურადღება უნდა დაეთმოს, რამდენიც ევროპაში. **ევროკომისიის** თანახმად,

იდეალურ შემთხვევაში, სამეწარმეო განათლებამ პროფესიულ განათლებაში უნდა: (1) განუვითაროს სტუდენტს სამეწარმეო აზროვნებისთვის საჭირო პიროვნული თვისებები და უნარ-ჩვევები, 2) გაზარდოს სტუდენტთა ცნობიერება თვითდასაქმების, როგორც კარიერის შესაძლო ვარიანტის, შესახებ, 3) გაუძღვეს სამეწარმეო პროექტებსა და აქტივობებს, რაც გააძლიერებს სტუდენტების სამეწარმეო უნარ-ჩვევებს და 4) მიაწოდოს კონკრეტული ცოდნა სტუდენტებს, როგორ დაიწყონ და მართონ ბიზნესი (იხ. დანართი ა).

ზოგიერთი პროგრამა, რაც პროფესიული განათლების დაწესებულებებში ისწავლება, მცირედით თუ შეესაბამება სამეწარმეო კომპეტენციის გაძლიერებას. მაგალითად, დიდი ალბათობით, სტუდენტებმა, რომლებიც **სოფლის მეურნეობასა** და **სახელობო საქმეს** სწავლობენ, მიწის ხელმისაწვდომობის, საჭირო ხელსაწყოებისა და საბაზისო ფერმერული უნარ-ჩვევების გათვალისწინებით, შეიძლება საკუთარი ბიზნესი დაიწყონ. თუმცა სამეწარმეო უნარ-ჩვევების განვითარება შეიძლება დაეხმაროს ყველა პროფესიის კურსდამთავრებულებს, იპოვონ ამჟამად არჩეული პროფესიის ალტერნატივა, თუ ოდესმე გადაწყვეტენ, გადავიდნენ უფრო მეტად სამეწარმეო კარიერაზე ისე, რომ არ დასჭირდეთ სასწავლებელში დაბრუნება.

იმისთვის, რომ გავაანალიზოთ ქართულ პროფესიული განათლების დაწესებულებებში არსებული მდგომარეობა და მოვამზადოთ ნიადაგი პროფესიული განათლების სისტემაში სისტემური სამეწარმეო განათლების შემოღებისთვის, ჩვენ ვეწვიეთ პროფესიული განათლების 12 დაწესებულებას (რომელთაგან 9 საჯაროა, 3 კი – კერძო) თბილისში და დამატებით 7-ს საქართველოს რეგიონებში (იხ. დანართი ბ). ჩვენ ჩავატარეთ პირისპირ ინტერვიუები დირექტორებთან, მეწარმეობის მასწავლებლებსა და პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სპეციალისტებთან, სატელეფონო ინტერვიუ ჩავუტარეთ ამ სასწავლებლების თვითდასაქმებულ კურსდამთავრებულებს. გარდა ამისა, ჩვენ შევხვდით კახაბერ ერაძეს, მეწარმეობის მოდულის ერთ-ერთ ავტორს, და ენტონი ტაირელს, ავსტრალიის პროფესიული განათლების სისტემის ექსპერტს.

ანგარიშის წყობა შემდეგია: პირველ ნაწილში წარმოდგენილია არსებული მდგომარეობის ანალიზი, რომელსაც მოჰყვება რეკომენდაციები, როგორ გადავჭრათ არსებული სირთულეები. მეორე ნაწილში ჩვენ წარმოვადგენთ სამეწარმეო განათლების გაუმჯობესების, მომავალი მეწარმეების აღმოჩენისა და მათთვის შესაბამისი გარემოს შექმნის უმთავრეს იდეებს. აღნიშნული ანგარიშის დანართებში წარმოდგენილია საუკეთესო საერთაშორისო მაგალითების მიმოხილვა და ჩატარებული ინტერვიუების შეჯამება.

## არსებული მდგომარეობის ანალიზი

### რა ისწავლება?

2015 წელს ქართული პროფესიული განათლების დაწესებულებების უმრავლესობამ საკუთარ საგანმანათლებლო პროგრამაში სავალდებულო კომპონენტად შეიტანა ახლახან შემუშავებული **მეწარმოების მოდული**. მეწარმეობას სწავლობენ პროფესიული განათლების დაწესებულების მესამე და მეოთხე დონის სტუდენტები. თუმცა გამოკითხული მეწარმეობის მასწავლებელთა უმრავლესობა ფიქრობს, რომ მესამე დონის სტუდენტებს (რომელთაც

მხოლოდ სკოლის 9 კლასი აქვთ დამთავრებული) უჭირთ მოდულის ათვისება, რადგან მათ ხშირად **არ აქვთ საკმარისი ცოდნა** (იხ. დანართი ბ).

მესამე დონის მოდულს აქვს ხუთი სასწავლო შედეგი, მეოთხე დონის მოდულს – ექვსი (იხ. ცხრილი #1). ორივე მოდულის უმთავრესი მოთხოვნა არის **ინდივიდუალური ბიზნესის გეგმა.** კურსის მსვლელობისას სტუდენტებმა უნდა შეარჩიონ ბიზნესის იდეა (სასურველია ისეთი, რომელიც შეესაბამება მათ პროფესიულ პროგამას), რომელზე დაყრდნობითაც შეიმუშავებენ ბიზნესის გეგმას. ეს უკანასკნელი არის **სტუდენტის შეფასების ინსტრუმენტი.** ვინაიდან მესამე დონის სტუდენტებს, როგორც წესი, უჭირთ დავალებისთვის თავის გართმევა, მეწარმეობის მასწავლებლები ხანდახან თავად აწვდიან სტუდენტებს ბიზნესის იდეებს, რაზეც უნდა იმუშაონ. თუმცა ეს ცუდი პრაქტიკაა, რაც საბოლოოდ უარყოფით გავლენას იქონიებს სტუდენტების თვითდასაქმების პერსპექტივებზე.

| **ცხრილი #1: მეწარმეობის მოდულის სასწავლო შედეგები** | |
|---|---|
| **მესამე დონის მოდულის შედეგები:** | **მეოთხე დონის მოდულის შედეგები:** |
| ✓ ბიზნესის დაგეგმვა<br>✓ ბიზნესის დარეგისტრირება<br>✓ ბიზნესის ორგანიზება<br>✓ პროდუქტებისა და სერვისების გაყიდვა<br>✓ მარტივი ბუღალტერია | ✓ მესამე დონის მოდულის შედეგები + ადამიანური რესურსების ორგანიზება |

პროფესიული განათლების დაწესებულებებში მეწარმეობის მოდულის შემოღების შემდეგ, სამეწარმეო განათლებისთვის გამოყოფილი **სასწავლო საათების** რაოდენობა გაიზარდა. მესამე დონის მეწარმეობის მოდულისთვის რეკომენდირებულია 100 საგაკვეთილო საათი, მეოთხე დონის მოდილისთვის კი – 125. თემები, რომელთაც პროფესიული განათლების დაწესებულებების სტუდენტები სწავლობენ მეწარმეობის მოდულში, ძალიან ახლოსაა იმასთან, რასაც **ბიზნესის ადმინისტრირების** სტუდენტები სწავლობენ. მიუხედავად იმისა, რომ ეს თემები არ არის არარელევანტური მეწარმეობის მოდულის სტუდენტებისთვის, მეწარმეობის სწავლებისთვის გამოყენებული მასალები და მეთოდები რეალურად არ ემსახურება იმ მიზანს, რომ სტუდენტებმა შეძლონ საკუთარი ბინზესის დაწყება და მართვა. კომპანიის დაწყებისა და მართვის მიზნებს.

## რა მასალები გამოიყენება?

მეწარმეობის მასწავლებლები თავისუფლები არიან ლიტერატურის არჩევაში. თუმცა ყველაზე ხშირად გამოიყენება სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მომზადებული სახელმძღვანელო *„მეწარმეობა“*. სახელმძღვანელო **ექვსი ნაწილისგან** შედგება, თითოეული ნაწილი ეთმობა მეოთხე დონის მეწარმეობის მოდულის ექვსიდან ერთ სასწავლო შედეგს. თითოეული ნაწილი შედგება რამდენიმე თავისგან, რომელთაც მოყვება **სავარჯიშოები** (მაგ.: ელემენტარული საბუღალტრო სავარჯიშოები) და **კითხვები,** რომლებიც აჯამებს თითოეულ თავს (მაგ.: „დააჯგუფეთ ეს კომპანიები მათი საქმიანობის ტიპების მიხედვით“).

წიგნის პირველ თავს აქვს **მეწარმეობის თვითშეფასების სავარჯიშო.** სავარჯიშოში ჩამოთვლილია ადამიანის ათი თვისება (ინიციატივის, რისკის გაწევის, საორგანიზაციო უნარი, პასუხისმგებლობის გრძნობა და სხვ.) და სტუდენტებმა ქულებით (2-5) უნდა შეაფასონ, რამდენად აქვთ ეს თვისებები. სავარჯიშოს თანახმად, სტუდენტები, რომლებიც აგროვებენ 45-50 ქულას, არიან ყველაზე იმედისმომცემი მეწარმეები, სტუდენტები კი, რომლებიც აგროვებენ 25 ქულას ან ნაკლებს, ნაკლებად იმედისმომცემებად ითვლებიან.

გარდა ამ სავარჯიშოებისა *„მეწარმეობის“* ზოგიერთ თავში მოცემულია **მაგალითები რეალური ცხოვრებიდან.** მაგალითად, წიგნი სტუდენტებს აცნობს ზოგიერთ წარმატებულ **ამერიკელ მეწარმეს** (მაგ.: ბილ გეითსს) და ამ მეწარმეების თვისებებს. ზოგიერთი სავარჯიშო ეთმობა ქართულ ქეისებსაც. მაგალითად, სტუდენტებს სთხოვენ, კატეგორიებად დაყონ ქართული კომპანიები (როგორიცაა „გუდვილი“, „ირაო“ და „კრედო“), მათი სამეწარმეო აქტივობების მიხედვით.

- ***<u>რეკომენდაცია:</u>*** *სახელმძღვანელოში გამოყენებული სავარჯიშოები, კითხვები და მაგალითები ძალიან თეორიულია და შეიძლება ძალიან შორს იყოს ქართული რეალობისგან. ამიტომ მათ არ შეუძლიათ ახალგაზრდა ქართველი მეწარმეების შთაგონება. სასურველია, სტუდენტებს ვასწავლოთ* ***ქართული ქეისების ანალიზი.*** *მაგალითად, უფრო რელევანტური იქნება, სტუდენტები ჩავრთოთ სხვადასხვა ქართული კომპანიების ბიზნესის სტრატეგიების შესახებ დისკუსიებში ან გავაცნოთ ქართველი მეწარმეების (მაგ.: ახალგაზრდა მეღვინის, ბაია აბულაძის წარმატების ისტორია, იხ. „ქართული სოფლის მეურნეობის ნორჩი ნერგები“, პროფესიული განათლების დაწესებულების კურსდამთავრებულის, ლალი შპეტიშვილის მიერ დაწყებული მინანქრის ბიზნესის ისტორია, (იხ. ქვემოთ) წარმატებები და სირთულეები, რაც მათ შეხვდათ და რისი გადალახვაც მოუწიათ.*

## ვინ არიან მასწავლებლები?

როდესაც პროფესიული განათლების დაწესებულებებმა შემოიღეს მეწარმოების ახალი მოდული, ცოტა კოლეჯმა თუ დაიქირავა კურსის სასწავლებლად ახალი მასწავლებლები. მეწარმეობის მასწავლებელთა უმეტესობა მანამდე „ეკონომიკის“ ან „ბიზნესის ადმინისტრირების“ კურსებს ასწავლიდა და გადამზადების ნაცვლად, მხოლოდ ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მოწყობილ სამდღიან ვორქშოპში მიიღეს მონაწილეობა. ქართული პროფესიული განათლების დაწესებულების მეწამეობის რიგითი მასწავლებელი არის 40-60 წლის ქალი, რომელსაც აქვს ხარისხი **ეკონომიკაში** (ზოგს აქვს ხარისხი მეწარმეობაშიც), მაგრამ არ აქვს **მრეწველობასა თუ ბიზნესთან დაკავშირებული გამოცდილება.** მასწავლებლები, ძირითადად, აქცენტს აკეთებენ მასალების აკადემიურ და თეორიულ ნაწილზე და იყენებენ სწავლების ძალიან **სტანდარტიზებულ** მეთოდებს. ისინი მკაცრად მისდევენ მოდულის მოთხოვნებს და მცირედით ან თითქმის არ მიმართავენ ინოვაციებსა და ექსპერიმენტებს. ასეთ მიდგომას, დიდი ალბათობით, განაპირობებს მრეწველობასა თუ ბიზნესთან დაკავშირებული გამოცდილების არქონა. მეტიც, მეწარმეობის

მასწავლებლებმა ხშირად არაფერი იციან მათი სტუდენტების პროფესიის (მაგ.: სოფლის მეურნეობა)შესახებ.

- ***<u>რეკომენდაცია:</u>*** *მასწავლებლებისთვის შესაბამისი პრაქტიკული გარემოს შექმნამ შეიძლება დააკომპენსიროს ინიციატივისა და ინოვაციური სასწავლო მიდგომის ნაკლელობა. მაგალითად, საფრანგეთში ყველა მეწარმეობის მასწავლებელი ვალდებულია, გაიაროს სამკვირიანი* ***სტაჟირება*** *საწარმოში, რათა ინფორმირებული იყოს შესაბამისი მრეწველობის გარემოსა და ბიზნეს-პრაქტიკების შესახებ (იხ. დანართი ა).*
- ***<u>რეკომენდაცია:</u>*** *ახალი,* ***ახალგაზრდა მასწავლებლების*** *მოზიდვა, რომელთაც აქვთ* ***ბიზნესთან დაკავშირებული გამოცდილება*** *(მაგ.: შეიძლება გამოვიყენოთ SSE რიგის კურსდამთავრებულთა მენტორთა კლუბის მოდელი) და სამეწარმეო გამოცდილების მქონე* ***წარმატებული კურსდამთავრებულების*** *ჩართვა* ***მასტერკლასებში.***
- ***<u>რეკომენდაცია:</u>*** *მეწარმეობის მოდულის სწავლებაში უნდა ჩაერთონ სხვადასხვა პროფესიული პროგრამების მასწავლებლებიც, რადგან მეწარმეობის მასწავლებლებს შეიძლება არ ჰქონდეთ ამა თუ იმ საგნის პროფესიული ცოდნა. მათ შეუძლიათ გააკონტროლონ სტუდენტების მიერ წარდგენილი ბიზნესის გეგმების ხარისხი.*
- ***<u>რეკომენდაცია:</u>*** *უნდა ვიფიქროთ, მაგალითად, ჰარვარდის ბიზნესის აკადემიისა და შოუს აკადემიის (ირლანდია) ქართული კონტექსტისთვის შესაბამისი* ***ელექტრონული ტრენინგის მოდულების*** *თარგმნასა და დანერგვაზე.*

## როგორ ისწავლება მოდული?

ახალი მეწარმეობის მოდულის შემოღების მიუხედავად, პედაგოგიკა იგივეა, რაც „ეკონომიკის“ (ან ბიზნესის ადმინისტრირების) ადრინდელ კურსებში იყო. სწავლებისადმი მიდგომა უმეტესწილად ვერტიკალურია , რაც მოტივაციას უკარგავს სტუდენტს, ჩაატაროს ექსპერიმენტები და მოიფიქროს ახალი იდეები, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია მომავალი მეწარმისთვის.

მეორეც, მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხული მასწავლებლები ბედნიერები არიან გაზრდილი სასწავლო საათებით, რადგან ახლა შეუძლიათ დრო გაანაწილონ თეორიულ გაკვეთილებსა და პრაქტიკულ დავალებებს შორის და მეტი დრო დაუთმონ ამ უკანასკნელს, **„პრაქტიკა“,** რაზეც მასწავლებლები საუბრობენ, როგორც წესი, სასწავლო სახლმძღვანელოების დავალებების (მაგ.: „მეწარმეობაში“ მოცემული სავარჯიშოების) შესრულებას უფრო გულისხმობს, ვიდრე რეალური საველე სამუშაოების შესრულებას. „პრაქტიკისთვის“ მეტი დროის დათმობა არ იქნება პროდუქტიული, თუ მასწავლებლები არ გაიაზრებენ, რეალურად რას გულისხმობს პრაქტიკული სასწავლო შედეგები.

როგორც ზემოთ უკვე ვახსენეთ, მეწარმეობის მოდულების უმთავრესი პროდუქტი არის **ბიზნესის გეგმა,** რომელსაც თითოეული სტუდენტი ინდივიდუალურად ადგენს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ბევრ სტუდენტს (განსაკუთრებით მესამე დონეზე) უჭირს მოდულის ათვისება, უნდა ვიფიქროთ ჯგუფური დავალებების ორგანიზებაზე და მივცეთ სტუდენტებს შანსი, თავად გაანაწილონ სამუშაო ჯგუფში. ქობულეთის კოლეჯის „ახალი ტალღის“ მეწარმეობის მასწავლებელმა განაცხადა, რომ მესამე დონის სტუდენტები ვერ უმკლავდებიან

პრაქტიკული დავალებების შესრულებას ინდივიდუალურად იმის გამო, რომ მათ მიერ მიღებული განათლება საშუალო სკოლაში არასაკმარისია. მასწავლებელს სჯერა, რომ ჯგუფური პრაქტიკული დავალების მიცემა (მათ შორის, ბიზნესის გეგმის) ბევრად უკეთესი ხარისხის შედეგებს გამოიღებს (იხ. დანართი ბ). თქმაც არ არის საჭირო, რომ ჯგუფურ სამუშაოებს აქვს სხვა პედაგოგიური უპირატესობა, განსაკუთრებით მომავალი მეწარმეებისთვის.

სტუდენტის შეფასება ეფუძნება ორობით (ჩაეთვალა/არ ჩაეთვალა) სისტემას, რომელშიც სტუდენტების მიერ შესრულებული დავალება ქულებით არ ფასდება. „შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის“ მასწავლებელმა გამოთქვა პრეტენზია ამ სისტემასთან დაკავშირებით. მას სურს, უკეთ შეეძლოს სტუდენტთა მიღწევების დიფერენცირება (იხ. დანართი ბ). ზოგადად, არ არსებობს **სტუდენტთა მიღწევების მონიტორინგის** სისტემა, თუმცა კოლეჯები და უნივერსიტეტებიც დიდი მონდომებით არ გამოირჩევიან, დანერგონ მსგავსი სისტემა.

- ***<u>რეკომენდაცია:</u>*** *სასწავლო შედეგების მიღების (მაგ.: „სტუდენტები თავადვე ასაბუთებენ საკუთარი ბიზნესის იდეებს“ ან, ბიზნესის დაგეგმვის შემთხვევაში, „ადეკვატურად აღწერენ ბიზნესის იდეის განხორციელებასთან დაკავშირებულ რისკებს“) მიზნით, სტუდენტები მეტად უნდა იყვნენონ ჩართულები (სტუდენტების პრეზენტაციები, ბრეინსტორმინგი, კითხვა-პასუხი და სხვ.). ასეთი ჯგუფური დავალებები საშუალებას აძლევს მასწავლებლებს, დააკვირდნენ სტუდენტთა ინდივიდუალურ წვლილს და გამოარჩიონ ისინი, რომლებიც ყველაზე მეტი მონდომებითა და მოტივაციით გამოირჩევიან მეწარმოებასთან დაკავშირებული დავალებების შესრულების დროს.*
- ***<u>რეკომენდაცია:</u>*** *შევიტანოთ დავალებები, რომლებიც მოითხოვს საველე სამუშაოებს, ბაზრის კვლევას, ჯგუფურ დავალებებსა და პროექტებს. ბევრი რამის სწავლა შეიძლება შვეიცარიის პროფესიული განათლების დაწესებულებებში განხორციელებული პროგრამიდან „მომავლის ინიციატივა“. ეს პროგრამა საშუალებას აძლევს სტუდენტებს, ბიზნესის იდეების დადგენისა და ბიზნესის გეგმის წერისას იმუშაონ ჯგუფებში. შეფასება დამოკიდებულია ბიზნესის იდეის ხარისხსა და საბოლოო პრეზენტაციაზე. მასწავლებლები აფასებენ როგორც მთელ ჯგუფს, ისე თითოეულ სტუდენტს ამ ჯგუფში. ასე მასწავლებლები თავს არიდებენ უფასო მგზავრის პრობლემას და საშუალება აქვთ, შეაფასონ სტუდენტთა ინდივიდუალური წვლილიც (იხ. დანართი ა).*
- ***<u>რეკომენდაცია:</u>*** *სტუდენტთა ვიზიტები და სტაჟირება დამწყებ კომპანიებში.*

## დამატებითი და შემდგომი აქტივობები

ზოგიერთი პროფესიული განათლების დაწესებულება დაინტერესებულია, მეწარმოების განათლება უფრო პრაქტიკული გახადოს. ამისი მაგალითია **სტუდენტების მიერ მართული სასტუმრო** ქობულეთის კოლეჯში „ახალი ტალღა“. სასტუმრო კოლეჯშია განთავსებული და სტუდენტები, რომლებიც სწავლობენ ტურიზმს, არიან პასუხისმგებელი მის მართვაზე (სტუდენტები ზრუნავენ მომარაგებაზე, მიღებაზე და სხვ.). თუმცა სასტუმრო არ არის კომერციული და კოლეჯს არ აქვს უფლება, მიიღოს ინდივიდუალური სტუმრები (მან

მონაწილეობა უნდა მიიღოს ტენდერებში, რათა უმასპინძლოს ვიზიტორთა ჯგუფებს). თუმცა კოლეჯი არის პასუხისმგებელი ამ საქმიანობაზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წინაშე. სასტუმროდან შემოსული თანხა ხმარდება კოლეჯის საჭიროებებს.

ეს მინი-სასტუმრო საკმაოდ სასარგებლოა პროფესიული მასპინძლობის უნარ-ჩვევების განვითარების თვალსაზრისით. თუმცა, ვინაიდან სტუდენტები არ წყვეტენ, როგორ იმუშაოს სასტუმრომ (გადაწყვეტილების მიღება მარკეტინგის სტრატეგიაზე, ფასებზე, მიწოდებული მომსახურების ტიპებზე, ხარისხზე და სხვ.), ეს ნაკლებად ეხმარება მათ მეწარმოებასთან დაკავშირებული ცოდნისა და გამოცდილების მიღებაში.

**სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია (ფაბ-ლაბი)** არის პროფესიული განათლების დაწესებულებაში ბევრად უფრო პრაქტიკული გარემოს შექმნის ყველაზე პოპულარული საშუალება. თუმცა ფაბ-ლაბები, როგორც წესი, გამოიყენება პროფესიული პროგრამების და არა მეწარმეობის სტუდენტების მოსამზადებლად. მეტიც, ჩვენ გვრჩება შთაბეჭდილება, რომ პროფესიული განათლების დაწესებულებებს არ აქვთ კომპეტენცია და ცოდნა, წარმატებით ამუშაონ ასეთი ლაბორატორიები. არსებობს გამონაკლისებიც. ამისი მაგალითი შეიძლება იყოს სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „გლდანის პროფესიული ტრენინგის ცენტრის“ ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია სხვადასხვა კომპიუტიზირებული დანადგარებით, რისი გამოყენებაც შეუძლიათ სტუდენტებს მათ მიერ შექმნილი პროდუქტების პროტოტიპის შესაქმნელად. 2016 წლის მაისში კოლეჯის დირექტორმა წამოიწყო **კონკურსი,** სადაც სტუდენტების ჯგუფებს შეეძლოთ მონაწილეობა მიეღოთ სხვადასხვა პროდუქტის დაგეგმვასა და შექმნაში (მაგ.: ტურისტებისთვის განკუთვნილი სუვენირების პროტოტიპი). პროგრამის „მცირე ბიზნესის მწარმოებელი“ სტუდენტები დაინიშნენ თითოეული ჯგუფის მენეჯერებად. ჯგუფები პასუხისმგებელი იყვნენ პროდუქტის წარმოებისთვის საჭირო ნებისმიერი ინფორმაციის მოპოვებაზე (საჭირო მასალები, ამ მასალების ფასები და სხვ.). ამ ეტაპზე ჯგუფები წერენ ბიზნესის გეგმას. კონკურსის განმავლობაში სტუდენტებს საშუალება აქვთ, კონსულტაცია გაიარონ საკუთარ მასწავლებლებთან, მათ შორის მეწარმეობის მასწავლებლებთანაც. კონკურსის დასრულების შემდეგ, გამარჯვებული ჯგუფი მიიღებს ფულად ჯილდოს (200 ლარი).

კოლეჯებისა და უნივსიტეტების მიერ ჩატარებული შიდა კონკურსების გარდა, სტუდენტებს, როგორც წესი, საშუალება აქვთ, მონაწილეობა მიიღონ გარეშე პროექტებშიც (მაგ.: **„აწარმოე საქართველოში“**). კოლეჯებისა და უნივერსიტეტების ერთი ნაწილი მუდმივად იღებს ინფორმაციას მსგავს პროექტებზე, მაშინ, როდესაც მეორე ნაწილი ვერ იღებს. აღნიშნულ პროექტებში სტუდენტების ჩართვის ნებისმიერი მცდელობა ინფორმაციის გაზიარებით შემოიფარგლება. თუმცა სტუდენტებს იშვიათად აინტერესებთ გარეშე კონკურსებში მონაწილეობა. პროფესიული განათლების დაწესებულებების ზოგიერთი წარმომადგენლის აზრით, ეს შეიძლება გამოწვეული იყოს **თავდაჯერებულობის** ნაკლებობით.

***<u>რეკომენდაცია:</u>*** *ხელმისაწვდომი პედაგოგიური ინფრასტრუქტურის (მაგ.: ფაბ-ლაბების) და სხვა შიდა თუ გარე შესაძლებლობების (ბიზნესის კონკურსები) სისტემური გამოყენება, რათა სტუდენტებს გამოუმუშავდეთ სამეწარმეო უნარ-ჩვევები და წავახალისოთ ახალგაზრდა მეწარმეები. მნიშვნელოვანია, რომ, სულ მცირე, ერთი ადამიანი თითოეულ კოლეჯში*

*ჯეროვნად გადამზადდეს უმაღლესი ტექნოლოგიების (მაგ.: ფაბ-ლაბების) მიმართულებით, რათა დაეხმაროს იმ სტუდენტებს, რომელთაც სურთ, მონაწილეობა მიიღონ ეროვნულ სამეწარმეო და ინოვაციების კონკურსებში. ასეთი ადამიანები უნდა გადამზადდნენ კოლეჯს გარეთ (მაგ.: **საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოსთან** თანამშრომლობით).*

**ხათუნა ხაბელაშვილი, პროექტის „აწარმოე საქართველოში“ მონაწილე:**

ხათუნა არის „განთიადის“ კოლეჯის კურსდამთავრებული (ქ. გორი). 2015 წელს ის ჩაირიცხა **თმის სტილისტთა** პროფესიულ პროგრამაზე, რომელიც შვიდ თვეში დაამთავრა. პრაქტიკული ტრენინგი გაიარა გორში, მისივე მასწავლებლის სალონში. ხათუნამ პროექტის – „აწარმოე საქართველოში“ – შესახებ მაშინ გაიგო, როდესაც პროექტის წარმომადგენლები მის სოფელს, ავლევს ესტუმრნენ, რათა ახალი ინიციატივა გაეცნოთ. პროექტი შედგებოდა ორი ეტაპისგან: 1) **ბიზნესის იდეის პრეზენტაცია,** 2) **ბიზნესის გეგმის შემუშავება.** პროექტის წარმომადგენლებმა **მოამზადეს მონაწილეები ბიზნესის გეგმის მომზადებაში.** ხათუნას ჰქონდა საკუთარ სოფელში სალონის გახსნის იდეა. მან გაიარა პროექტის ორივე ეტაპი და მიიღო დაფინანსება 3,410 ლარის ოდენობით. ხათუნას პროექტის ხარჯების 20% თავად უნდა დაეფინანსებინა. სალონის საკუთარ სახლში გახსნით მან ხარჯები დაზოგა და დარჩენილი თანხა სალონის მოვლის, ავეჯის, ინვენტარისა და ინსტრუმენტების შესაძენად გამოიყენა. მან ბიზნესი ინდივიდუალური მეწარმის სტატუსით დაარეგისტრირა.

მართალია, ახლა ხათუნას შემოსავლის წყარო აქვს, მაგრამ საკუთარ ბიზნესს მომგებიანად არ თვლის. მისი აზრით, მთავარი პრობლემა არის ადგილმდებარეობა (პატარა სოფელი). მეორე პრობლემა შეიძლება იყოს „პროდუქციის მრავალფეროვნების“ სიმცირე: ხათუნა ვერ სთავაზობს რეგიონის სხვა სალონებისაგან განსხვავებულ სერვისებს.

ხათუნას მაგალითისგან ვიგებთ, რომ პროფესიული განათლების დაწესებულებების სტუდენტებს შეიძლება აინტერესებდეთ საკუთარი ბიზნესის დაწყება და იდეებიც ჰქონდეთ, მაგრამ კოლეჯები და უნივერსიტეტები საკმარისად ვერ ეხმარებიან მათ სამეწარმეო იდეებსა და საქმიანობაში.

## კერძო სექტორის როლი

პროფესიული განათლების მართვის არსებული სქემა, რომლის თანახადაც თითოეული პროფესიული განათლების დაწესებულების **მმართველ საბჭოში** უნდა შედიოდეს კერძო სექტორის ორი წარმომადგენელი, არ ქმნის საკმარის სტიმულს ეფექტური ჩართულობისთვის. კერძო სექტორთან ურთიერთობა შემოიფარგლება მხოლოდ სტუდენტების **სტაჟირებებით.** როგორც წესი, კოლეჯები და უნივერსიტეტები სტუდენტებს მსხვილ კომპანიებში გზავნიან პრაქტიკული ტრენინგებისთვის, სადაც სტუდენტები, დიდი ალბათობით, იძენენ მხოლოდ მომავალი სამსახურისთვის საჭირო უნარ-ჩვევებს. შესაძლო ალტერნატივა შეიძლება იყოს სტუდენტების გაგზავნა შედარებით მცირე საწარმოებში, განსაკუთრებით ისეთებში, რომელთაც მართავენ პროფესიული განათლების დაწესებულებების კურსდამთავრებულები.

ზოგიერთ დაწესებულებაში კერძო სექტორის წარმომადგენლები ატარებენ სტუდენტების პროფესიული ცოდნასა და უნარ-ჩვევებასთან დაკავშირებულ **ლექციებსა და მასტერკლასებს**. თუმცა დღეს მეწარმოების განათლებას არ აქვს პრაქტიკაზე ორიენტირებული სასწავლო შედეგების მიღწევის მექანიზმი.

***<u>რეკომენდაცია:</u>*** *კერძო სექტორი ბევრად უფრო სისტემურად უნდა იყოს ჩართული:*

- *პროფესიული განათლების დაწესებულებების მართვაში;*
- *მეწარმეობის საგნების სწავლებაში, მასტერკლასების ჩატარებასა და სტუდენტთა ჯგუფების ვიზიტებში. ამ კოლეჯებისა და უნივერსიტეტების თვითდასაქმებული ყოფილი სტუდენტები ყველაზე შესაფერისი და გავლენიანი მისაბაძი მაგალითები არიან ამისთვის;*
- *ბიზნესის გეგმების განხილვასა და შემუშავებაში (მაგ.: შვეიცარიული გამოცდილების საფუძველზე). სტუდენტებს საშუალება უნდა მივცეთ, იურთიერთონ მეწარმეებთან, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მათი ბიზნესის იდეებისა და გეგმების ხარისხს;*
- *სტაჟიორების მიღებაში (დამწყებ საწარმოებში და არა მსხვილ კომპანიებში). ასე სტუდენტებს საშუალება ექნებათ, მეტი ინფორმაცია მიიღონ, თუ როგორ იწყება და მუშაობს საწარმო და პრაქტიკაში გამოიყენონ მოდულში ნასწავლი ცოდნა;*
- *ბიზნესის იდეების/გეგმების შერჩევაში;*
- *საუკეთესო ბიზნესის იდეების/გეგმების ინკუბაციაში.*

**„მერმისიდან ბიზნესამდე“: ლალი შპეტაშვილი და მისი მინანქრის ბიზნესი**

ლალი შპეტაშვილი არის **„მერმისის“** კოლეჯის კურსდამთავრებული, სადაც მან **მინანქარზე მუშაობა** ისწავლა. მინანქარზე მუშაობის პრაქტიკული უნარ-ჩვევების გარდა ლალიმ ისწავლა მეწარმეობის საბაზისო ასპექტები, როგორიცაა ბიზნესის დაგეგმვა, მისი დარეგისტრირება და ფართის დაქირავება. მეწარმეობის ტრენინგის ფარგლებში, ლალის უნდა დაეწერა ბიზნესის გეგმა. თუმცა მინანქრის წარმოების ბიზნესის იდეის ნაცვლად ტორტების ცხობის იდეაზე შეჩერდა.

კოლეჯის დამთავრების შემდეგ, ლალიმ და მისმა ოთხმა თანაკურსელმა გადაწყვიტა, დაეწყო მინანქრის სამკაულების მცირე ბიზნესი „შემეპტონი“. მათ გამოიყენეს საკუთარი მწირი რესურსები ფართის დასაქირავებლად და საჭირო ინსტრუმენტების შესაძენად (**„მერმისის“ კოლეჯის მასწავლებლის** რჩევით). ლალი მოგვიანებით ესტუმრა კოლეჯს და კიდევ ერთი სტუდენტი მოიწვია სამუშაოდ. ახლა ბიზნესში ექვსი ადამიანია ჩართული.

ლალისა და მის მეგობრებს აქვთ ფეისბუქის გვერდი, სადაც საკუთარ სამკაულებს დებენ. ისინი მუშაობენ **კერძო შეკვეთებზე,** რომელთაც, როგორც წესი, ფეისბუქიდან და ნაცნობებისგან იღებენ. გარდა ამისა, თანამშრომლობენ **სამკაულების ოთხ მაღაზიასთან** და აწვდიან პროდუქციას მოთხოვნის მიხედვით. სამკაულების მაღაზიები ეხმარება ლალისა და მის მეგობრებს, განსაზღვრონ, რა ტიპის სამკაულებზეა ყველაზე მაღალი მოთხოვნა. შემეპტონს ფეისბუქზე ამჟამად ოთხი ათასზე მეტი გამომწერი ჰყავს. სამკაულების ფასი 10-დან 120 ლარამდე მერყეობს. ლალისა და მის მეგობრებს, ონლაინ მომხმარებლების მოთხოვნების დასაკმაყოფილებად, აქვთ **ადგილზე მიტანის სერვისიც**.

თავიდან ლალის გაუჭირდა საკუთარი საწარმოს მართვა. ამბობს, რომ ვერ შეარჩია **გაყიდვების სწორი ტექნიკა** და მხოლოდ გამოცდილების მიღების შემდეგ გადაწყვიტა სამკაულების მაღაზიების მომარაგება, რითიც კერძო შეკვეთების (რაც არის შემეპტონის შემოსავლების ძირითადი წყარო) დეფიციტს აბალანსებდა. მიუხედავად იმისა, რომ ბიზნესი არ არის ძალიან მომგებიანი (საშუალოდ, შემეპტონი კვირაში სამ შეკვეთას იღებს), ლალი ფიქრობს, რომ იმაზე მეტს გამოიმუშავებს, ვიდრე მსხვილი საწარმოსთვის მუშაობის შემთხვევაში შეძლებდა.

შემეპტონის შემთხვევა ხაზს უსვამს პროფესიული განათლების დაწესებულებების მნიშვნელობას **პროფესიული კავშირების** შექმნაში. ლალის გუნდი ჩამოყალიბდა კოლეჯში. კოლეჯის მასწავლებელი ეხმარებოდა ლალისა და მის მეგობრებს პირველი საქმიანი გადაწყვეტილებების მიღებაში. გუნდის ახალი წევრიც იმავე პროფესიულ კავშირების დახმარებით იპოვეს „მერმისის“ კოლეჯში. მეტიც, პროფესიული განათლების დაწესებულებებს აქვთ საშუალება, ბევრად მეტი გააკეთონ გუნდური მუშაობის წასახალისებლად და სტუდენტებისთვის პრაქტიკული ბიზნესის უნარ-ჩვევების (მაგ.: მარკეტინგი, გაყიდვები) მიცემაში. შემეპტონის დამფუძნებელთა წინაშე არსებული სირთულეები, რაც დაკავშირებული იყო შესაფერისი გაყიდვების ტექნიკის შერჩევასთან, შეიძლება დავუკავშიროთ შესაბამისი ტრენინგების არარსებობას.

## სამეწარმეო განათლების გაუმჯობესების, მომავალი მეწარმეების გამოვლენისა და მათთვის შესაფერისი გარემოს შექმნის იდეები

☞ <u>სიახლეებისა და ექსპერიმენტების წახალისება მეწარმეობის სწავლებასა და პრაქტიკაში</u>

ქართულ პროფესიული განათლების დაწესებულებებს ახასიათებთ საკუთარი საგანმანათლებლო პროცესების **სტანდარტიზება.** მეწარმეობის მოდულები მოკლებულია ინოვაციურ იდეებს. სასწავლო შედეგები მკაცრად შემოიფარგლება მოდულის მოთხოვნებით, პრაქტიკული დავალებები კი მხოლოდ „მეწარმეობაში“ შეტანილ სავარჯიშოებს გულისხმობს.

თავისუფლებასთან ერთად, საჭიროა ახალი მიდგომების („რაც არ არის აკრძალული, ნებადართულია“) გამოყენება, სიახლეების აქტიური წახალისება და მხარდაჭერა. მაგალითად, ამისი მიღწევა შესაძლებელია პროფესიული განათლების დაწესებულებებს შორის კონკურსების მოწყობით, რათა წავახალისოთ ახალი იდეების აღმოცენება და გადავცეთ გამარჯვებულებს საკუთარი იდეების განხორციელებისთვის საჭირო დაფინანსება და/ან აღჭურვილობა. ჰორიზონტალური სწავლება შეიძლება წავახალისოთ ღია შერჩევის პროცესით, რომელიც გულისხმობს კოლეჯების გუნდების მიერ ინოვაციური იდეების პრეზენტაციასა და გამოცდილების გაზიარებას. ვერტიკალური კოორდინაციისთვის, შესარჩევ კომისიაში, რომელმაც კონკურსის გამარჯვებულები უნდა გამოავლინოს, შეიძლება შედიოდნენ ქართული ბიზნეს-ასოციაციები, მრეწველობისა და მთავრობის წარმომადგენლები.

ასეთი აქტივობების ჩატარებისთვის საჭიროა ფინანსური რესურსების მობილიზება. 2015 წლის ზაფხულში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ პროფესიული

განათლების დაწესებულებების დირექტორებისთვის მოაწყო ვორქშოპი, რომელზეც კოლეჯების წარმომადგენლები ერთმანეთს უზიარებენ მათ მიერ დანერგილ საუკეთესო პრაქტიკას. როგორც ამბობენ, ვორქშოპმა მნიშვნელოვნად წაახალისა ჰორიზონტალური სწავლება. სამწუხაროდ, დაფინანსების სიმწირის გამო, ვორქშოპი მოგვიანებით შეწყდა. სამინისტროს თანახმად, სამომავლოდ მსგავსი აქტივობების სამიზნე ჯგუფში მეწარმეობის მასწავლებლებიც (დაწესებულებების დირექტორების გარდა) უნდა შევიდნენ.

კოლეჯებს შორის კონკურენცია ხელს შეუწყობს პროფესიული განათლების დაწესებულებების რეიტინგების შექმნას, რომელიც შეიძლება ეფუძნებოდეს როგორც „საუკეთესო პედაგოგიური პრაქტიკის“ კონკურსის, ისე სტუდენტების წარმატებას. ასეთი რეიტინგები დაეხმარება სტუდენტებს არჩევნის გაკეთებაში და მოტივაციას მისცემს კოლეჯებს, გააუმჯობესონ და სიახლეები შეიტანონ საკუთარ მუშაობაში.

☞ <u>სტუდენტების ჩართვა მინი-საწარმოების მართვაში</u>

იმისთვის, რომ მივიღოთ პრაქტიკაზე მეტად ორიენტირებული სასწავლო შედეგები, პროფესიული განათლების დაწესებულებებმა უნდა **წაახალისონ ექსპერიმენტები.** ექსპერიმენტაციის ერთი მაგალითია სტუდენტების მიერ მინი-კომპანიების დაარსება. მაგალითად, **მალტის** ხელოვნების, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების კოლეჯი საშუალებას აძლევს საკუთარ სტუდენტებს, მართონ სილამაზისა და თერაპიის ბიზნესი, რომელიც კვირაში სამჯერ ემსახურება საზოგადოებას. მასწავლებლები ეხმარებიან სტუდენტებს კლიენტების ჩაწერაში, მომსახურებაში, ფულის მართვასა და კლიენტების მოთხოვნებთან გამკლავებაში (იხ. დანართი ა). ასეთი მინი-კომპანიები ეხმარება სტუდენტებს, გამოსცადონ მეწარმეობა და განიხილონ იგი, როგორც მომავალი კარიერა. გარდა ამისა, ისინი საშუალებას აძლევს სტუდენტებს, გამოსცადონ და გააძლიერონ საკუთარი სამეწარმეო უნარ-ჩვევები.

მინი-კომპანიები შეიძლება გამოვიყენოთ ბევრი სამეწარმეო სასწავლო შედეგის მისაღწევად. მაგალითად, ასეთი კომპანიების მართვისას, სტუდენტებმა შეიძლება ისწავლონ:

- გუნდური მუშაობა, მოვალეობათა განაწილება, მიზნების დასახვა, მუშაობის მონიტორინგი, მოტივაციის მიცემა და ბიზნესის აქტივობების დაგეგმა (ეს ყველაფერი არის „ბიზნესის ორგანიზებისა“ და „ადამიანური რესურსების ორგანიზების“ სასწავლო შედეგები);
- კონკურენციისა და მოთხოვნის გაანალიზება, ფასების დადგენა, საკუთარი პროდუქტების ბრენდირება და დიფერენცირება, პროდუქტისა და სერვისის ხარისხის გაუმჯობესება, ეფექტური მარკეტინგის კამპანიების დაგეგმვა და სხვ.;

ქართულ პროფესიული განათლების დაწესებულებებში სტუდენტების მიერ მინი-კომპანიების შექმნისთვის ჯერ უნდა გამოვავლინოთ სამეწარმეო აქტივობებისთვის ყველაზე რელევანტური პროფესიული პროგრამები. ჭეშმარიტად სამეწარმეო მიდგომის წახალისებისთვის, რაც საჭიროა ასეთი აქტივობების გასატარებლად, ასეთი საწარმოებისგან მიღებული შემოსავლის ნაწილი, ინვესტიციის სახით, საწარმოების მომავალ განვითარებაში უნდა ჩაიდოს.

საჯარო სამართლის იურიდიული პირების შესახებ კანონი პირდაპირ აძლევს უფლებას უმაღლესი განათლების დაწესებულებებს, ჩაერთონ სამეწარმეო აქტივობებში, მაგრამ ბუნდოვანია, რამდენად ეხება იგივე კანონი პროფესიული განათლების დაწესებულებებს. ინსტიტუციური ჩართულობის წასახალისებლად, არსებული კანონმდებლობა უნდა შეიცვალოს ისე, რომ გაფანტოს პროფესიული განათლების დაწესებულებების უფლება-მოვალეობებთან დაკავშირებული ყველა გაურკვევლობა.

**საჯარო სამართლის იურიდიული პირების შესახებ კანონი**

*საჯარო სამართლის იურიდიული პირი – უმაღლესი განათლების დაწესებულება ავტორიზებულია:*

*ა) აწარმოოს საგანმანათლებლო, სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობა;*

*ბ) აწარმოოს ბეჭდვითი საქმიანობა;*

*გ) გაყიდოს საგანმანათლებლო, სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობისას წარმოებული პროდუქტები;*

*დ) აწარმოოს და გაყიდოს სამეცნიერო კვლევებისა და ლაბორატორიული საქმიანობის შედეგად წარმოებული პროდუქტი (გამოგონებები და სასარგებლო მოდელები);*

*ე) აწარმოოს დამატებითი სამეწარმეო საქმიანობა, თუ საკუთარი სტატუსი ამის საშუალებას აძლევს (რეგულაციები).*

**კერძო სექტორის როლი** განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როდესაც ვსაუბრობთ სტუდენტების მინი-კომპანიებზე. კერძო სექტორის წარმომადგენლები, ბიზნესის პროფესიონალები, მეწარმეები და პროფესიული განათლების დაწესებულებების კურსდამთავრებულები შეიძლება იყონ მენტორები და სტუდენტებს მისცენ შესაბამისი ცოდნა და რჩევები. დაინტერესებულ მხარეთა ნაწილს (მაგ.: GCCI-ს) შეუძლია შეასრულოს შუამავლის როლი, რათა წაახალისოს ბიზნესსა და პროფესიული განათლების დაწესებულებებს შორის ქსელის შექმნა.

☞ <u>ნიჭიერი მეწარმეების შერჩევა და ინკუბაცია</u>

დღეს ქართული პროფესიული განათლების სისტემაში არ გვაქვს დაინტერესებული და ნიჭიერი მომავალი მეწარმეების აღმოჩენის **მექანიზმი.** ასეთი მექანიზმის არარსებობის დასაკომპენსირებლად კოლეჯებმა და უნივერსიტეტებმა უნდა ჩაატარონ **შიდა და გარე სამეწარმეო კონკურსები.** ინტერვიუს დროს „მერმისის“ კოლეჯის დირექტორმა თქვა, რომ სტუდენტების წახალისება, მონაწილეობა მიიღონ გარე სამეწარმეო პროექტებსა და კონკურსებში (მაგ.: „აწარმოე საქართველოში“) რთულია, რადგან სტუდენტებს ხშირად აკლიათ თავდაჯერებულობა. ამ პრობლემის მოსაგვარებლად, ვიდრე განვიხილავთ უფრო სერიოზულ პროექტებს, სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ საშუალება, მონაწილეობა მიიღონ „მცირე“ და შედარებით ნაკლებად „საშიშ“ კონკურსებში (იხ. დანართი ბ). პროფესიული განათლების დაწესებულებები არ უნდა ელოდებოდნენ, რომ გარეშე მხარეები ჩაატარებენ

ასეთ კონკურსებს, მათ საკუთარ თავზე უნდა აიღონ მსგავსი კონკურსების ორგანიზების ინიციატივა.

შიდა კონკურსებს პოპულარობა უნდა გავუწიოთ იმ სტუდენტებს შორის, რომელთაც დაამთავრეს ან ახლა სწავლობენ მეწარმეობის მოდულს. კონკურსი შეიძლება შედგებოდეს ორი ეტაპისგან: 1) უნარ-ჩვევების ტესტი, რათა გამოვავლინოთ სამეწარმეო თვისებების, ცოდნისა და უნარ-ჩვევების მქონე სტუდენტები, 2) **ბიზნესის იდეის** კონკურსი. კონკურსს უნდა ჰყავდეს მენტორები, რომლებიც დაეხმარებიან სტუდენტებს, ჩამოაყალიბონ მაღალი ხარისხის ბიზნესის იდეები. მენტორობის ყველაზე შესაფერისი კანდიდატები არიან პროფესიული განათლების დაწესებულებების მასწავლებლები, თვითდასაქმებული კურსდამთავრებულები და კერძო სექტორის წარმომადგენლები. მას შემდეგ, რაც თითოეული პროფესიული განათლების დაწესებულება გამოავლენს კონკურსის გამარჯვებულს, საბოლოო კონკურსი შეიძლება ჩატარდეს ეროვნულ დონეზე, ყველა დაწესებულებას შორის. ამ ეტაპზე, სტუდენტები, მენტორების დახმარებით, **წარმოადგენენ ბიზნესის გეგმებს, ჟიური კი გამოავლენს გამარჯვებულებს.** მსგავსი შიდა და გარე კონკურსები არის **დაინტერესებული და ნიჭიერი მომავალი მეწარმეების გამოვლენის საშუალება.**

სამეწარმეო კონკურსები საკმაოდ გავრცელებულია **უნგრეთში.** კონკურსის უნგრულ მაგალითში ჩართული არიან  სხვადასხვა პროფესიული განათლების დაწესებულებები და მოიცავს ოთხ ეტაპს: 1) ტესტი ბიზნესის შექმნასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ საკითხებზე, 2) კომპანიების შექმნა (ეს გულისხმობს ბიზნესის გეგმის, სახელწოდების, სლოგანისა და ლოგოს შექმნას), 3) ბიზნესის გეგმის შემუშავება და 4) შეფასება (იხ. დანართი ა). წარდგენილ ქართულ მოდელში კონკურსის პირველი ორი ეტაპი (მეწარმეობის ტესტი და ბიზნესის იდეა) შეიძლება ჩატარდეს პროფესიული განათლების დაწესებულებაში, ბოლო ორი ეტაპი კი (ბიზნესის გეგმის წარდგენა და შეფასება) შეიძლება ჩატარდეს გარეთ, სხვადახვა დაწესებულებებში.

ქართულ პროფესიული განათლების დაწესებულებებში სამეწარმეო განათლების ანალიზმა აჩვენა **რეგულარული და უწყვეტი აქტივობების** საჭიროება, რომელიც მოიტანს პრაქტიკაზე ორიენტირებულ სასწავლო შედეგებს. ამ შედეგების მიღწევის ერთ-ერთი გზაა **ბიზნესის ინკუბატორების** შექმნა. ბიზნესის ინკუბატორები შექმნის საჭირო გარემოს: ფიზიკურ სამუშაო სივრცეს, საერთო საოფისე ფართებს, კონსულტაციების, ინფორმაციას, ტრენინგებს და ფინანსებსა და პროფესიულ სერვისებზე წვდომას ერთი ხელმისაწვდომი პაკეტის ფარგლებში (იხ. დანართი ა).

ბიზნესის ინკუბატორების მიზანია, შექმნას ისეთი სივრცე, რომელიც უმასპინძლებს სხვადასხვა ბიზნესებს და საშუალებას მისცემს მეწარმეებს, ხორცი შეასხან საკუთარ ბიზნესის იდეებს. მიუხედავად იმისა, რომ პროფესიული განათლების დაწესებულებებს აქვთ ფაბ-ლაბები, მათ არ შეუძლიათ პრაქტიკაზე ორიენტირებული სასწავლო შედეგების წახალისება ისე, როგორც ბიზნესის ინკუბატორებს. მართალია, ფაბ-ლაბებს აქვს სხვადასხვა პროდუქციის წარმოებისთვის საჭირო აღჭურვილობა, დანადგარები და ინსტრუმენტები, მაგრამ ფაბ-ლაბებში დაწყებული პროექტები (ზემოთ ნახსენები „გლდანის პროფესიული ტრენინგის

ცენტრის“ საზოგადოებრივი კოლეჯის მაგალითის მსგავსად) რეალურად არ ხორციელდება და მხოლოდ **სიმულაციებია.**

ბიზნესის ინკუბატორები ღია უნდა იყოს გარეშე მხარეებისთვის, განსაკუთრებით **კერძო სექტორის წარმომადგენლებისთვის.** კერძო სექტორს გადამწყვეტი როლი აქვს პერსპექტიული მეწარმეების მხარდაჭერაში. მაგალითად, გამოცდილი მეწარმეები ხშირად **დებენ ინვესტიციას** ახალ სტარტაპებში და **მენტორობას უწევენ** ახალბედა მეწარმეებს, რათა დაიცვან საკუთარი ინვესტიცია. მენტორობა გულისხმობს ბიზნესის პროფესიონალებისგან დახმარების მიღებას, რომლებიც იგივე პოზიციაში არიან და კარგად იციან ბიზნესის მაგალითები. ბიზნესის მენტორებს შეუძლიათ დაეხმარონ მცირე კომპანიებს და მისცენ პრაქტიკული რჩევა, კონსულტაცია, უკუკავშირი სხვადასხვა ბიზნეს-სცენარების შესახებ, კონტაქტებზე, გადაწყვეტილებებზე და სხვ.

კიდევ ერთი შესაძლებლობაა, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატამ მოაწყოს **„მეწარმეობის აკადემია“** ბიზნესის ინკუბატორებისთვის (ლატვიის მაგალითის მსგავსად, იხ. დანართი ა). აკადემიას შეუძლია ჩართოს კერძო სექტორის წარმომადგენლები და პროფესიული განათლების დაწესებულებების კურსდამთავრებულები, ვინც დაინტერესებულია ახალი სტარტაპების დახმარებით. **ლატვიური** მაგალითის მსგავსად (იხ. დანართი ა), ასეთ აკადემიას შეუძლია წელიწადში რამდენიმე შეხვედრის ჩატარება, რათა განიხილონ სტარტაპები ბიზნესის ინკუბატორში და მიამაგრონ შესაბამისი მენტორები. ბიზნესის ინკუბატორების მმართველობა შეიძლება გადაეცეს საჯარო სექტორსა და პროფესიული განათლების წარმომადგენლებს.

ბიზნესის ინკუბატორების შექმნის ერთ-ერთი ყველაზე შესაფერისი მექანიზმი არის კერძო-საჯარო პარტნიორობები. არსებობს ამ პარტნიორობის სხვადასხვა მოდელები. საქართველოში **საწყისი დაფინანსება შეიძლება გაიღოს სახელმწიფომ, ბიზნესი კი შეიძლება ჩაერთოს მას შემდეგ, რაც დაინახავს ბიზნესის ინკუბატორების მიერ შექმნილ შესაძლებლობებს**. საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატას შეუძლია შეასრულოს შუამავლის როლი კერძო-საჯარო პარტნიორობებს შორის იმით, რომ წაახალისოს კერძო სექტორის მონაწილეობა ინკუბატორებში.

# დანართი ა: ევროპული ქვეყნების მეწარმოების განათლების მოდელებისა და მეთოდოლოგიების მიმოხილვა

**1. პროფესიულ განათლებაში სამეწარმეო განათლების ევროპული სტანდარტები**

ევროპული პარლამენტისა და საბჭოს (2006 წ.) თანახმად, მეწარმეობა არის „ინდივიდუალის შესაძლებლობა, იდეა საქმედ აქციოს“. როგორც ამბობენ, ადამიანები მეწარმეებად არ იბადებიან, ისინი მეწარმეები ხდებიან, როცა იზრდებიან და სწავლობენ გამოცდილებითა და გავლენით (ვოლერი, 2013 წ.). შედეგად, ბევრი ევროპული ქვეყანა ყურადღებას ამახვილებს მომავალი მეწარმეების გადამზადებასა და მეწარმოებისა და თვითდასაქმების, როგორც მომავალი კერიერული არჩევნის შესახებ ცნობიერების ამაღლებაზე. მეწარმოების განათლება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პროფესიული განათლების დაწესებულებების სტუდენტებისთვის, რადგან ასეთ კურსდამთავრებულებს მეტი შანსი აქვთ, გახდნენ თვითდასაქმებულები (სედეფოპი, 2011 წ.).

პროფესიული განათლების დაწესებულებებში სამეწარმეო განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, ევროკომისიამ (2009 წ.) დაადგინა, რომ სტუდენტები შეიძლება გადამზადდნენ ბიზნესის გეგმის შემუშავებაში, გაეცნონ ისეთ საკითხებს, როგორიცაა კომპანიის დაწყებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული პროცედურები, ბუღალტერიის პრინციპები, სავაჭრო და საგადასახადო კანონი, ბიზნესის ეთიკა და სოციალური პასუხისმგებლობა, ბაზრის მექანიზმები და გაყიდვების ტექნიკები. გარდა ამისა, ევროკომისიის (2009 წ.) თანახმად, სამეწარმეო განათლებად კვალიფიცირებისთვის პროგრამა უნდა გულისხმობდეს ჩამოთვლილთაგან სულ მცირე ორ ელემენტს:

- პიროვნული თვისებებისა და ზოგადად გამოყენებადი უნარ-ჩვევების გამომუშავება, რაც წარმოადგენს სამეწარმეო აზროვნებისა და ქცევის საფუძელს;
- თვითდასაქმებისა და მეწარმეობის, როგორც შესაძლო კარიერული არჩევნის შესახებ სტუდენტთა ცნობიერების ამაღლება;
- პრაქტიკული საწარმო პროექტები და აქტივობები;
- სპეციალური ბიზნესის უნარ-ჩვევები და ცოდნა, როგორ დავიწყოთ და წარმატებით ვმართოთ კომპანია.

**2. შვეიცარიული პროგრამა „მომავლის ინიციატივა“ პროფესიული განათლების სკოლებში**

ევროკომისიის (2015 წ.) ნაშრომი „სამეწარმეო განათლება: გზა წარმატებისკენ. 13 შემთხვევის ანალიზი“ წარმოდგენას გვიქმნის, როგორია სამეწარმეო განათლება სხვადასხვა ევროპულ ქვეყანაში. კვლევა, ძირითადად, ყურადღებას ამახვლების სამეწარმეო განათლების პროგრამის ფარგლებში გამოყენებულ მოდელებსა და მეთოდოლოგიებზე. **შვეიცარია** პროფესიული განათლების ზოგიერთ სკოლაში, განათლების, კვლევებისა და ინოვაციების სახელმწიფო სეკრეტარიატის ზედამხედველობის ფარგლებში, ახორციელებს პროგრამას „მომავლის ინიციატივა“. პროგრამა მიზნად ისახავს სტუდენტებში სამეწარმეო უნარ-ჩვევების განვითარებასა და მათი ცოდნის გაზრდას. მთავარი შედეგი ის არის, რომ სტუდენტებს

საშუალება აქვთ, გააზრებული გადაწყვეტილება მიიღონ და იცოდნენ კომპანიის დაწყებასთან დაკავშირებული ძირითადი ინსტრუმენტები.

პროგრამა „მომავლის ინიციატივა“ მოიცავს ოთხ მოდულს:

- პირველ მოდულში სტუდენტები ესწრებიან რვა გაკვეთილს (45 წუთი თითო), სადაც ისინი ეცნობიან მეწარმეობის იდეასა და ნაბიჯებს, რაც საჭიროა კომპანიის დასაფუძნებლად, ბიზნესის იდეის ჩამოსაყალიბებლად და ბიზნესის გეგმის დასაწერად. მოდულის ბოლოს, სტუდენტთა სხვადასხვა ჯგუფები ქმნიან საკუთარ ბიზნესის იდეასა და გეგმას;
- მეორე მოდულში არის 4 გაკვეთილი (45 წუთი თითო) და მთლიანად ეთმობა საველე ვიზიტებს ადგილობრივ კომპანიებში და ინტერვიუებს მეწარმეებთან. ეს უკანასკნელი საშუალებას აძლევს სტუდენტებს, განიხილონ საკუთარი ბიზნესის იდეები მეწარმეებთან;
- მესამე მოდული სთავაზობს შვიდ კურსს, რომლებიც ეხება ბიზნესის სხვადასხვა ასპექტებს, როგორიცაა მარკეტინგი, ფინანსები და კანონი. თითოეულ კურსში სამი გაკვეთილია (45 წუთი თითო);
- მეოთხე მოდული არის საწვრთნელი სესიებისა და მცირე კომპანიის შექმნისა და მართვისთვის გამოყოფილი დროის ერთობლიობა. მოდულში შედის 21 გაკვეთილი (45 წუთი თითო) და 2-4 საწვრთნელი სესია.

რაც შეეხება შეფასების სისტემას, პროგრამის ბოლოს, თითოეულმა ჯგუფმა ჯიურის უნდა წარუდგინოს ბიზნესის გეგმა. საბოლოო ქულას განსაზღვრავს ბიზნესის გეგმის ხარისხი (ქულის 70%-მდე), საბოლოო პრეზენტაცია და სტუდენტების ინდივიდუალური წვლილი ჯგუფის მუშაობაში. ამ პროგრამაში ბოლო ორი მოდული დაკავშირებულია ერთმანეთთან, რადგან სტუდენტებმა მესამე მოდულში ნასწავლი მასალა პრაქტიკულად უნდა გამოიყენონ მეოთხე მოდულის დავალების შესრულებისას.

როგორც უკვე ვახსენეთ, სამეწარმეო განათლება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პროფესიული განათლების სკოლებისთვის, რადგან ისინი ამზადებენ სტუდენტებს, რომლებიც პირდაპირ უნდა შევიდნენ შრომის ბაზარზე და შეიძლება ჰყავდეთ თვითდასაქმებული კურსდამთავრებულები. შედეგად, პროფესიული განათლების სისტემების უმრავლესობა ევროპულ ქვეყნებში ყურადღებას ამახვილებს სტუდენტების პრაქტიკული გამოცდილების მნიშვნელობაზე. მსგავსი გამოცდილების მისაცემად, ბევრი ევროპული ქვეყანა ხაზს უსვამს კარგად მომზადებული მასწავლებლების მნიშვნელობას, სტუდენტებისა და მეწარმეების შეხვედრების სარგებლიანობას და მათ პროგრამებში პრაქტიკული პროექტებისა და აქტივობების საჭიროებას.

### 3. ტრენინგების მასწავლებლები მეწარმეობის სწავლებისას ავსტრიასა და საფრანგეთში

პროფესიული განათლების დაწესებულებებში მასწავლებლები გადამწყვეტ როლს ასრულებენ სტუდენტებში სამეწარმეო უნარ-ჩვევების პოპულარიზებაში. როგორც წესი, სწორედ მასწავლებლები ავლენენ ყველაზე პროგრესულ და ნიჭიერ სტუდენტებს, მეწარმეობის

ტესტების, პრაქტიკული სამუშაოებისა თუ სხვა მეთოდების მეშვეობით. ამიტომ პროფესიული განათლების დაწესებულებებმა უნდა გააძლიერონ საკუთარი მასწავლებლების კომპეტენცია, რათა საშუალება მისცენ მათ, ეფექტურად ასწავლონ და უხელმძღვანელონ სტუდენტებს (ლორიტცენი და სხვები, 2014 წ.).

**ავსტრიის** სამეწარმეო განათლების საზაფხულო უნივერსიტეტი („იდეების ვორქშოპი“) ამზადებს მასწავლებლებს ეკონომიკასა და სხვა ზოგად კურსებზე მეწარმოების სწავლებისთვის საჭირო ინსტრუმენტებსა და მეთოდოლოგიებში. ამ ინიციატივას მხარს უჭერენ როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორის წარმომადგენლები, მათ შორის ისეთი ორგანიზაციები, როგორიცაა განათლების, ხელოვნებისა და კულტურის სამინისტრო (ევროკომისია, 2009 წ.).

მეწარმეობის მასწავლებლები, როგორც წესი, ბევრად უფრო პრაქტიკულ გარემოშიც ემზადებიან. მაგალითად, 2007 წელს **საფრანგეთში** შემოიღეს მასწავლებელთა მომზადების ახალი მიდგომა. შერჩევამდე მასწავლებელი ვალდებულია, დაამტკიცოს, რომ აქვს ბიზნესის სფეროში კომპეტენცია. ამ მიზნისთვის თითოეულმა მასწავლებელმა სულ მცირე სამკვირიანი სტაჟირება უნდა გაიაროს შესაბამის კომპანიაში, რათა მიიღოს გამოცდილება იმ პროფესიაში, რომელსაც ასწავლის. შერჩევის შემდეგ, თითოეულმა მასწავლებელმა, საგნის მიუხედავად, უნდა გაიაროს კიდევ ერთი სამკვირიანი სტაჟირება კომპანიაში სპეციალიზაციის პირველ წელს. სტაჟირების პროგრამა აქცენტს აკეთებს სკოლასა და საწარმოს შორის კავშირის დამყარებაზე და სრულდება პედაგოგიური ინსტრუმენტის შემუშავებით (ევროკომისია, 2009 წ.).

**4. სტუდენტებისთვის მეწარმეობის შეთავაზების უელსური მაგალითი**

ზოგიერთი ქვეყანა პროფესიული განათლების სტუდენტებს აცნობს წარმატებულ მეწარმეებს, როგორც მისაბაძ მაგალითს, რათა გააღვივოს სტუდენტის მეწარმოებისა და თვითდასაქმებისადმი, როგორც კარიერული არჩევნისადმი, ინტერესი. ასეთი მეთოდი მიღებული პრაქტიკაა **უელსის** პროფესიული განათლების სკოლებში. მისაბაძი მაგალითები არიან ბიზნესის მფლობელები, რომლებიც პროფესიული განათლების სკოლების სტუდენტებს „შთააგონებენ“ და გადასცემენ დადებით გზავნილებს მეწარმოების შესახებ. ისინი ამას აკეთებენ სკოლებში უშუალო ვიზიტებითა და ერთსაათიანი პრეზენტაციებით, რაც გულისხმობს საკუთარი სამეწარმეო ისტორიის განხილვას. ამას მოჰყვება აქტივობები, რაც ახალგაზრდებს უქმნის წარმოდგენას, რას ნიშნავს ბიზნესის მართვა. მისაბაძი მაგალითები, როგორც წესი, შეირჩევიან თანატოლი მისაბაძი მაგალითების რეკომენდაციებით (სედეფოპი, 2011 წ.).

პროფესიული განათლების დაწესებულებებს, როგორც წესი, ურჩევენ, მისაბაძ მაგალითებად მოიწვიონ ყოფილი კურსდამთავრებულები, რადგან სტუდენტებს ყველაზე მეტად მათთან უადვილდებათ თვითიდენტიფიცირება: „თუ მან შეძლო, მეც შევძლებ“ (ევროკომისია, 2009 წ.).

**5. პრაქტიკულ პროექტებსა და აქტივობებში სტუდენტების ჩართვის საუკეთესო ევროპული მაგალითები**

თეორიულ მოდულებზე პრაქტიკული პროექტებისა და აქტივობების დამატება არის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული გზა, რომლითაც ევროპული ქვეყნები ცდილობენ პროფესიული განათლების დაწესებულებებში სამეწარმეო განათლების ხარისხის გაუმჯობესებას. ასეთი აქტივობები გულისხმობს პრაქტიკის ფირმებს, ბიზნესის კონკურსებს, კომპანიებში დასაქმებას, სტუდენტთა მინი-კომპანიებს, ბიზნესის ინკუბატორებსა და სხვ.

### 5.1. პრაქტიკის ფირმები სლოვენიაში

**სლოვენიაში** პრაქტიკის ფირმები გვხვდება პროფესიული განათლების სისტემის ყველა ბიზნეს-სკოლაში. 2007-2008 წლებში ქვეყანაში არსებობდა 235 პრაქტიკის ფირმა 3470 სტუდენტით. პრაქტიკული ფირმა კერძო ბიზნესის სიმულაციაა და ხშირად ვირტუალურ კომპანიადაც მოიხსენიებენ. ასეთი ფირმები სტუდენტებს წამოდგენას უქმნის, როგორ მუშაობს კომპანია, ეხმარება მათ სამეწარმეო თვისებებისა და უნარ-ჩვევების გამომუშავებაში. ნამდვილი კომპანიების მსგავსად, ეს ფირმებიც შედგება სხვადასხვა დეპარტამენტებისგან: პერსონალი, ადმინისტრაცია, მარკეტინგი, ბუღალტერია და ლოჯისტიკა, რომლებშიც სტუდენტები მუშაობენ. ამ ფირმებში სტუდენტები იძენენ გუნდური მუშაობის უნარს, გამოიმუშავებენ პასუხისმგებლობის გრძნობას და იძლიერებენ სამეწარმეო შესაძლებლობებს, როგორიცაა მოლაპარაკების წარმოების უნარი, რისკების მიღება და სამუშაოს დაგეგმვა და ორგანიზება (ევროკომისია, 2009 წ.).

### 5.2.ბიზნესის კონკურსები უნგრეთში

**უნგრეთში** რამდენიმე პროფესიული განათლების დაწესებულების სტუდენტები მონაწილეობას იღებენ 4-ეტაპიან მეწარმეობის კონკურსებში. კონკურსები იწყება ბიზნესის შექმნასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ საკითხებში ტესტებით. მეორე ეტაპზე მონაწილეები ქმნიან კომპანიებს (რაც გულისხმობს ბიზნესის იდეის, სახელწოდების, სლოგანისა და ლოგოს შექმნას). მესამე ეტაპი გულისხმობს ბიზნესის გეგმის შემდგომ განვითარებას, რაც გულისხმობს ბიზნესის აქტივობების მასშტაბის, ფინანსური გეგმის ახსნას, ბაზრის კვლევისა და კომპანიის გრძელვადიანი მიზნების მიმოხილვას. ბოლო, მეოთხე ეტაპზე ხდება შეფასება. ასეთ კონკურსებს, როგორც წესი, საერთო მეთოდოლოგია აქვთ: ერთეულების შეფასება – ინდივიდუალური ან ჯგუფური – და საუკეთესოების დაჯილდოება. ხანდახან კონკურსის ჩატარების სხვადასხვა ეტაპზე ჩართულია სხვადასხვა დაინტერესებული მხარე. ასეთი მეწარმეობაზე ორიენტირებული კონკურსების უპირატესობა ის არის, რომ სტუდენტებს შეუძლიათ განივითარონ ან გაიუმჯობესონ სამეწარმეო/ბიზნესის და სხვა უნარ-ჩვევები, მაგ.: გუნდური მუშაობა და კომუნიკაცია (სედეფოპი, 2011 წ.).

### 5.3. პროფესიული განათლებისა და დამსაქმებელთა დაკავშირება დიდ ბრიტანეთში

პროფესიული განათლების დაწესებულებებში მომავალი მეწარმეების მომზადების კიდევ ერთი გავრცელებული პრაქტიკაა სტუდენტების დასაქმება სხვადასხვა კომპანიებში. ზოგიერთ ევროპულ ქვეყანაში ამ მიზანს ემსახურება სპეციალური ორგანიზაციები. **დიდ ბრიტანეთში** ინგლისის თითქმის ყველა რეგიონში გვხვდება განათლებისა და ბიზნესის პარტნიორობის ორგანიზაციები, რომლებიც ეხმარებიან განათლების დაწესებულებებს, მათ შორის პროფესიული განათლების სკოლებს, იმუშაონ დამსაქმებლებთან. გამოთვლების

თანახმად, ეს ორგანიზაციები წლიურად 300,000-ზე მეტ დამსაქმებელთან მუშაობენ. ყოველწლიურად 14-16 წლის ასაკის დაახლოებით 550,000 სტუდენტი, მათ მიერ არჩეული პროფესიული პროგრამის ფარგლებში, გადის სტაჟირებას სხვადასხვა კომპანიაში (ევროკომისია, 2009 წ.).

### 5.4. სტუდენტური კომპანიები მალტასა და გერმანიაში

„სტუდენტური კომპანია  არის პედაგოგიური ინსტრუმენტი, რომელიც საშუალებას აძლევს სტუდენტებს რეალური საწარმოს მართვითა და გარემოსთან ურთიერთობით მიიღონ პრაქტიკული გამოცდილება“ (ევროკომისია, 2005 წ.). მინი-კომპანიების უმეტესობა იქმნება საშუალო განათლების ზედა საფეხურსა და პროფესიულ განათლებაში. ზოგიერთ ქვეყანაში (მაგ.: ავსტრიაში, ჩეხეთის რესპუბლიკაში, ფინეთში, ირლანდიასა და ნორვეგიაში) მინი-კომპანიები სასკოლო პროგრამის ფარგლებში არსდება, სხვა ქვეყნების შემთხვევაში (მაგ.: ბელგია (ვალონია), გერმანიაში, ესტონეთსა და შვედეთში) სკოლის ფარგლებს გარეთ. რამდენიმე წევრ სახელმწიფოში მინი-კომპანიები გვხვდება ორივე შემთხვევაში (სედეფოპი, 2011 წ.).

სტუდენტები მართავენ სილამაზისა და თერაპიის კომპანიას **მალტის** ხელოვნების, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების კოლეჯში. საკუთარი მასწავლებლების დახმარებით, სტუდენტები საზოგადოებას კვირაში სამჯერ სთავაზობენ სერვისებს. მათ ჰყავთ მასწავლებლები, რომლებიც ხელმძღვანელობენ და ზედამხედველობენ მათ შეხვედრების დანიშვნისას, კლიენტის მომსახურებისას, თანხისა და კლიენტების მოთხოვნების დაკმაყოფილებისას (ევროკომისია, 2009 წ.).

**გერმანიაში** ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი პროექტი („ახალგაზრდა მეწარმეები იწყებენ, აწყობენ და აღწევენ“), რომელიც ეკონომიკისა და ტექნოლოგიების ფედერალური სამინისტროს ეგიდით ხორციელდება, იწვევს საშუალო სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლეებს. 10-15 მოსწავლე აფუძნებს სტუდენტურ მინი-კომპანიას, კრეატიულად ქმნიან და აკადემიური წლის განმავლობაში ყიდიან თავიანთ ბიზნესის იდეას. ბიზნესის იდეა შეიძლება იყოს როგორც პროდუქტი, ისე სერვისი. პროექტი მიზნად ისახავს ახალგაზრდების ცოდნის გაუმჯობესებას კომპანიის მართვის პროცესებთან დაკავშირებით (ევროკომისია, 2009 წ.).

### 5.5. ბიზნესის ინკუბატორები

მარტივი გაგებით, ტრადიციული ბიზნესის ინკუბატორი არის მიკრო გარემო მცირე მმართველი გუნდით, რომელიც, ერთი პაკეტის ფარგლებში, სტუდენტებს აწვდის ფიზიკურ სამუშაო სივრცეს, საერთო საოფისე ფართს, კონსულტაციას, ინფორმაციას, ტრენინგებსა და წვდომას ფინანსებსა და პროფესიულ სერვისებზე. როგორც წესი, ბიზნესის ინკუბატორებს თავდაპირველად სჭირდება სახელმწიფოს დახმარება.

**ინკუბატორებში მონაწილეობა ხშირად ნებადართულია არამხოლოდ პროფესიული განათლების დაწესებულებების სტუდენტებისთვის, არამედ გარეშე პირებისთვისაც.** გარეშე პირების ჩართულობას რამდენიმე უპირატესობა აქვს: 1) ბიზნესის ინკუბატორებს ეზრდება რეპუტაცია, განსაკუთრებით კერძო სექტორისათვის, 2) პროფესიული განათლების

დაწესებულებების სტუდენტებმა შეიძლება სარგებელი მიიღონ გარეშე პირებთან თანამშრომლობით.

მსოფლიოში მიღებული პრაქტიკის თანახმად, კერძო სექტორი, ხშირად ეხმარება ბიზნესის ინკუბატორებს და უფასო **მენტორობას** უწევს სტუდენტებს. თავის მხრივ, კერძო კომპანიებსაც აქვთ სარგებელი, რადგან ეზრდებათ წვდომა ინოვაციებზე და იძენენ ახალ პარტნიორებს მიწოდების ჯაჭვებისთვის. მჭიდრო პარტნიორობის მაგალითად შეიძლება მივიჩნიოთ კოსეს ბიზნესის კოლეჯი (**დანია**), სადაც სტუდენტები სწავლას ამთავრებენ საწარმოში პრაქტიკული პროექტის განხორციელებით. პროექტში ჩართულია როგორც საწარმო, ისე სკოლა. რეალური პრობლემის განსაზღვრის შემდეგ, სტუდენტებს აქვთ საშუალება, გამოავლინონ საკუთარი სამეწარმეო უნარ-ჩვევები და კრეატიული აზროვნება და მოიფიქრონ გამოსავალი, რაც აკმაყოფილებს საწამოს საჭიროებას. პრაქტიკის დაწყებამდე სტუდენტი პროექტის აღწერას შეიმუშავებს, რომელსაც ერთობლივად საწარმო და სკოლა ამტკიცებეს. საბოლოო გამოცდა შეიძლება ჩაბარდეს ინდივიდუალურად ან ჯგუფურად.

**კურსდამთავრებულებს,** განსაკუთრებით მათ, ვინც წარმატებას მიაღწია ბიზნესში, შეუძლიათ გახდნენ მენტორები. **ლატვიაში** რიგაში სტოქჰოლმის ეკონომიკის სკოლის (SSE) მენტორთა კლუბი მენტორობას უწევს ზრდის პოტენციალის მქონე კომპანიებს, რომელთაც აქვთ ამბიცია, გააგრძელონ ბიზნესი. SSE რიგის მენტორთა კლუბის წევრები არიან კოლეჯის კურსდამთავრებულები, რომელთაც დააგროვეს ბიზნესისა და მართვის მნიშვნელოვანი გამოცდილება. ამჟამად მათ იცნობენ, როგორც ექსპერტებს ბიზნესის სხვადასხვა სფეროში: ფინანსები, ვენჩურული კაპიტალის მართვა, მარკეტინგი, რეკლამა, საჯარო ურთიერთობები, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, გაყიდვები, კონსულტაციები, წარმოება და სხვ. SSE რიგის მენტორთა კლუბი აწყობს 10-მდე შეხვედრას წელიწადში. შეხვედრებზე მენტორები განიხილავენ ბიზნესის კონკრეტულ პრობლემებს, შემდეგ იმართება იმ კომპანიების პრეზენტაციები, რომელთაც მოიპოვეს მენტორინგის მომსახურეობით სარგებლობის უფლება. პრეზენტაციების შემდეგ იმართება დისკუსიები, რომლებშიც მენტორები აანალიზებენ ბიზნესის მაგალითებს და საუბროებენ შესაძლო განვითარების გზებზე. დისკუსიების შემდეგ კომპანიას ენიშნება მენტორი.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


სედეფოპი (2011 წ.) „ევროპის მხარდაჭერის სახელმძღვანელოს“ იმედისმომცემი მეწარმეები: მომავალი პოტენციალის რეალიზების პოლიტიკა და პრქტიკა“. *ევროპის პროფესიული განათლების განვითარების ცენტრი (სედეფოპი),* ლუქსემბურგი: ევროკავშირის პუბლიკაციების ოფისი, 2011 წ.;

ევროკომისია (2005 წ.) „პროექტი „საუკეთესო პროცედურა“: „მინი-კომპანიები საშუალო განათლებაში“. ექსპერტთა ჯგუფის საბოლოო ანგარიში“. *ევროკომისია, მეწარმოებისა და მრეწველობის გენერალური დირექტორატი, ერთეული: E.1: მეწარმეობა;*

ევროკომისია (2015 წ.) „სამეწარმეო განათლება: გზა წარმატებისკენ. 13 შემთხვევის ანალიზი“. ლუქსემბურგი: ევროკავშირის პუბლიკაციების ოფისი, 2015 წ.;

ევროკომისია (2011 წ.) „სამეწარმეო განათლება: მასწავლებლები როგორც წარმატების მთავარი ფაქტორი“. *მეწარმეობის ერთეული, მეწარმეობისა და მრეწველობის გენერალური დირექტორატი, ევროკომისია, B-1049 ბრიუსელი*;

ევროკომისია (2009 წ.) „მეწარმეობა პროფესიულ განათლებაში, ექსპერტთა ჯგუფის საბოლოო ანგარიში“. *ევროკომისია, მეწარმეობა და მრეწველობა.* ხელმისაწვდომია ლინკზე: http://europa.eu/geninfo/query/resultaction.jsp?QueryText=entrepreneurship+in+vocational+education+and+training+final+report+of+the+expert+group&x=12&y=14&swlang=en;

ევროპის პარლამენტი და საბჭო (2006 წ.) „ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეკომენდაცია (18.12.06) მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის მთავარ კომპეტენციებზე“. ხელმისაწვდომია ლინკზე:

http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex%3A32006H0962;

ლორიტცენი, ჯ.რ.კ., ანდერსენი, ტ. ერნესტი, ჯ. სეჩერი, ო. ოლსენ, ს. ოსტერგარდი, ს.მ.ფ. (2014 წ.) „პროფესიული განათლების შესახებ ევროპული ბიზნესის ფორუმის მომზადება: საბოლოო ანგარიში“. *დანიის ტექნოლოგიური ინსტიტუტი*

ვოლერი, ტ. მიულერი, ს. ისერი, ფ. ნეფლნი, კ. რეი (2013 წ.) „რა გავლენას ახდენს მეწარმოების განათლება ადამიანურ კაპიტალზე საშუალო განათლების დონეზე“. *მცირე ბიზნესის მართვის ჟურნალი,* 51(3): 429-446.

# დანართი B: ინტერვიუების შეჯამება

## საჯარო პროფესიული განათლების დაწესებულებები

1. **საჯარო კოლეჯი „აისი“**

მისამართი: ახმეტის მუნიციპალიტეტი, ქვემო ალვანი

ტელ.: 0(790) 110 120, 577 557 156

კოლეჯი „აისი“ სტუდენტებს პროფესიათა ფართო სპექტრს სთავაზობს, მათ შორის: მეღვინეობა, ფერმერობა, ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავება, ფარმაცევტიკა, ვეტერინარია, მეფუტკრეობა, მზარეული და ა.შ. საგანმანათლებლო პროცესი მოიცავს როგორც **პრაქტიკულ, ისე თეორიულ მომზადებას**. პრაქტიკული მეცადინეობები ძირითადად კოლეჯში მიმდინაროებს. თუმცა სტუდენტები, როგორც წესი, ერთთვიან სტაჟირებას სხვადასხვა კომპანიებში გადიან.

ამჟამად, კოლეჯში **455 სტუდენტი** სწავლობს. ყოველწლიურად კოლეჯში დაახლოებით 1,100 სტუდენტი რეგისტრირდება, რადგან კოლეჯს წელიწადში ორჯერ აქვს მიღება. რაც შეეხება სტუდენტების ასაკსა და სქესს, სტუდენტთა დაახლოებით ნახევარი 20 წელს ქვემოთ არის, მათი უმრავლესობა მამაკაცია. სტუდენტები ძირითადად კახეთის რეგიონიდან არიან, თუმცა კოლეჯში საქართველოს სხვა რეგიონებიდანაც არიან წარმოდგენილნი. კოლეჯს შეუძლია 330 სტუდენტი უზრუნველყოს საცხოვრებლით.

მასწავლებლების ნაწილი კოლეჯში სრულ განაკვეთზე არ არის და სხვადასხვა კომპანიებში მუშაობს, მათ შორის „თეგეტა მოტორსში“, ღვინის მწარმოებელ კომპანიებში, საინფორმაციო ტექნოლოგიების კომპანიებში, ნატურალური წვენების მწარმოებელ კომპანიებში და სხვ. კოლეჯი სტუდენტებისთვის ხშირად აწყობს **მასტერკლასებსაც:** აკადემიკოსები და ბიზნესის წარმომადგენლები სხვადასხვა სფეროდან და მრეწველობებიდან მოდიან და საკუთარ ცოდნას უზიარებენ სტუდენტებს.

სტანდარტული კურსი „მეწარმეობის საფუძვლები” და მოდულური კურსი „მეწარმეობა“ სავალდებულოა ყველა პროფესიული პროგრამის სტუდენტებისათვის. სტანდარტულ კურსს **ერთი საათი** ეთმობა, მოდულურს – **სამი.** თითოეულ კურს დაახლოებით 15 სტუდენტი ესწრება.

მეწარმეობის მოდულის სწავლებისას ძირითადად გამოიყენება ნინო ტალახაძისა და მარინა გიგაურის წიგნი ***„ეკონომიკა“***. კურსის სწავლებისა გულისხმობს ისეთ პრაქტიკულ ელემენტებს, როგორიცაა შეჯიბრებები, სხვადასხვა სახის სიმულაციები და თამაშები. მეწარმეობის მასწავლებელი პროფესიით ეკონომისტია, რომელსაც არ აქვს **ბიზნესთან დაკავშირებული გამოცდილება**. ის უკვე 25 წელია პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა.

რაც შეეხება მეწარმეობასთან დაკავშირებულ კოლეჯს გარეშე პროექტებს, კოლეჯმა პროექტის – „აწარმოე საქართველოში“ – შესახებ ფეისბუქიდან გაიგო. კოლეჯის ფინანსური მენეჯერის მოადგილე ძალიან მონდომებულია, დაეხმაროს სტუდენტებს ბიზნესის დაწყებაში, ამიტომ ამის შესახებ ინფორმაცია მთელ კოლეჯში გაავრცელა. სხვადასხვა პროფესიის მასწავლებლები (მაგ.: ფერმერობის) კი დაინტერესებულ სტუდენტებს დაეხმარნენ იდეების განვითარებაში. საბოლოოდ, რვა სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა პროექტის „აწარმოე საქართველოში“ შესარჩევ კონკურსში. ერთ-ერთმა მათგანმა (ირაკლი წიკლაურმა) გაიმარჯვა კიდეც, ხოლო მეორე (ლაშა ცერცვაძე) გადაამისამართეს აგროპროექტში – **„დანერგე მომავალი“** – მონაწილეობისათვის.

**საკონტაქტო ინფორმაცია:**

- სტუდენტი, ირაკლი წიკლაური – 577 496 979 (პროექტის „აწარმოე საქართველოში“ მონაწილე)
- სტუდენტი, ლაშა ცერცვაძე – 591 078 750 (პროექტის „აწარმოე საქართველოში“ მონაწილე)
- ფინანსური მენეჯერის მოადგილე, თინიკო ხანჯალიაშვილი – 599 001 221
- მეწარმეობის მასწავლებელი, მზია ღვინიაშვილი – 555 647 776

**2. სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“**

მისამართი: თბილისი, გლდანი V მკ/რ, ხიზანიშვილის ქუჩა

ტელ.: 2 140 314; 570 503 001

კოლეჯი 2014 წელს დაფუძნდა და სტუდენტებს 20 სტანდარტულ და 8 მოდულურ პროგრამაში ამზადებს. სტუდენტების ასაკი მერყეობს 20-დან 40 წლამდე. სტუდენტების ერთი მესამედი რეგიონებიდან არის, ხოლო უმრავლესობა მამაკაცია.

**„მეწარმეობის“ კურსი სავალდებულოა** ყველა პროფესიული პროგრამისათვის. ამასთან ერთად, კოლეჯი სტუდენტებს პროფესიულ (არამოდულურ) პროგრამაში **„მცირე ბიზნესის მწარმოებელი“** ამზადებს. სამეწარმეო განათლების პრაქტიკული ელემენტი მოიცავს რეალისტური ბიზნესის გეგმების მომზადებას, რომლისთვისაც სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ რეალისტური იდეა და შეეძლოთ ბაზრის კვლევის ჩატარება, მოგება-ზარალის ანგარიშგების წარდგენა და სხვ. მეწარმეობის მასწავლებელი უკვე 25 წელია პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა. კოლეჯთან ერთად უნივერსიტეტშიც ასწავლის, თუმცა ბიზნესში მუშაობის გამოცდილება არ აქვს.

კოლეჯს აქვს სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია (**ფაბ-ლაბი**) რომელიც აღჭურვილია კომპიუტიზირებული ტექნიკით. სტუდენტებს აღნიშნული ტექნიკის გამოყენებით შეუძლიათ დაამზადონ პროტოტიპები. ფაბ-ლაბი გახდა ადგილი, სადაც სტუდენტები რეალურ პროდუქტებს ამზადებენ. კოლეჯის დირექტორი საკუთარი ინიციატივით ორგანიზებას უწევს ბიზნეს-პროექტების **კონკურსს,** სადაც სტუდენტები თვითონ ქმნიან სამუშაო ჯგუფებს და მუშაობენ ბიზნესის პროექტებზე. 2016 წლის მაისში, პროგრამის „მცირე ბიზნესის მწარმოებელი“ სტუდენტებს ჰქონდათ დავალება, მოეფიქრებინათ იდეები და სხვა პროგრამების სტუდენტები მოეწვიათ ჯგუფებში სამუშაოდ. შედეგად, ჩამოყალიბდა სამი ჯგუფი, რომელიც სხვადასხვა პროექტზე მუშაობს. მაგალითად, ერთ-ერთი ჯგუფი მუშაობს ტურისტებზე გათვლილი სუვენირების პროტოტიპის შექმნაზე. ჯგუფი იძიებს პროტოტიპის შექმნისთვის საჭირო ყველა ინფორმაციას: რომელია ყველაზე ხარისხიანი მასალა სუვენირის დასამზადებლად, როგორია ფასები და აშ. ამჟამად, სტუდენტები მუშაობენ ბიზნესის გეგმებზე. კონკურსის მსვლელობისას მათ აქვთ საშუალება, კონსულტაციები გაიარონ თავიანთ მასწავლებლებთან (მათ შორის, მეწარმოების მასწავლებლებთან). მუშაობის დასრულებისთანავე, ჯგუფები წარადგენენ თავიანთ ბიზნესის გეგმებს, გამარჯვებული კი მიიღებს ფულად ჯილდოს 200 ლარის ოდენობით. მიუხედავად იმისა, რომ კოლეჯი არ არის ვალდებული, ფაბ-ლაბი სამეწარმეო განათლების მიზნით გამოიყენოს, კოლეჯის დირექტორი ძალიან მონდომებულია, ფაბ-ლაბებში ჩატარებული შიდა კონკურსებით დაეხმაროს სტუდენტებს ბიზნესის ხედვის ჩამოყალიბებაში. მასწავლებლებსა და დირექტორს არ აქვთ ინფორმაცია კოლეჯის გარეთ კონკურსებზე, რის მიზეზადაც კოლეჯებთან მწირ კომუნიკაციის ასახელებენ.

**საკონტაქტო ინფორმაცია:**

- კოლეჯის დირექტორი, ნოდარ ხარაზიშვილი – 577 278 82, nodar_ter@yahoo.com
- პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სპეციალისტი, სესილია სიჭინავა – 577 385 720

**3. საზოგადოებრივი კოლეჯი „მერმისი“**

მისამართი: თბილისი, გურამიშვილის გამზ. 72ბ

ტელ.: 2 147 887, 2 147 667

კოლეჯ „მერმისში“ მეწარმეობის სავალდებულო მოდულური კურსი 2016 წლიდან ისწავლება. მოდულის ფარგლებში, სხვადასხვა პროგრამის სტუდენტებმა უნდა მოიფიქრონ ბიზნესის იდეა (რომელიც თანხვედრაშია მათ პროფესიულ პროგრამებთან) და კურსის დასასრულს დაწერონ ბიზნესის გეგმა. მეწარმეობის მასწავლებლები აცხადებენ, რომ მეწარმეობის მოდულურ კურსს სტანდარტულ კურსთან შედარებით გარკვეული უპირატესოებები აქვს. კერძოდ, **კურსის შინაარსი ბევრად მდიდარია, სასწავლო საათების რაოდენობა გაზრდილია** და **დავალებებიც ბევრად პრაქტიკულია**. მოდულის შემოღებამდე, მეწარმეობის მასწავლებლებს ჩაუტარდათ ტრენინგი, მასწავლებელთა ნაწილმა მოდულის მოდიფიკაციაშიც კი მიიღო მონაწილეობა.

მასწავლებლების განცხადებით, **მესამე დონის სტუდენტებს უჭირთ მეწარმოების მოდულის დაძლევა**. მესამე დონის სტუდენტები არიან საშუალო სკოლის ცხრაკლასდამთავრებული მოსწავლეები. მასწავლებლები ფიქრობენ, რომ, რაც მესამე დონეზე ისწავლება, უნდა ისწავლებოდეს მეოთხე დონეზე, ხოლო მეოთხე დონის მასალა უნდა ისწავლებოდეს მეხუთე დონეზე.

**მეწარმეობის მასწავლებელი** პედაგოგიურ საქმიანობას უკვე 22 წელია ეწევა. მას არ აქვს ბიზნესში მუშაობის ან მეწარმეობის გამოცდილება. სტუდენტების უმრავლესობის ასაკი 20 წელს ზემოთაა. მეწარმეობის გაკვეთილებს 20 სტუდენტი ესწრება, ხოლო სწავლებას **კვირაში ორი საათი ეთმობა**.

კოლეჯის წარმომადგენლების განცხადებით, პროფესიული პროგრამების ერთი ნაწილი აქცენტს კონკრეტულ სპეციალობებზე აკეთებს, მეორე კი უფრო მეწარმეობაზეა ორიენტირებული. მაგალითად, ტყავის ნაწარმის სპეციალობის სტუდენტებს მეტი შანსი აქვთ, მეწარმეები გახდნენ.

კოლეჯის მიერ ინიცირებული პრაქტიკული გაკვეთილები ეხება მხოლოდ სტუდენტების პროფესიულ პროგრამებს. ამისი საუკეთესო მაგალითია ფარდების მწარმოებელი კომპანია „ევროტექსი“. კოლეჯმა 32 სტუდენტი გაგზავნა „ევროტექსში“ პრაქტიკული გამოცდილების მიღების მიზნით, რომელთაგან 12 სტუდენტს კომპანიამ შრომითი ხელშეკრულება გაუფორმა.

კოლეჯში მალე გაიხსნება **ფაბ-ლაბი,** რომელსაც, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოსთან ერთად, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აღჭურავს. კოლეჯის სტუდენტები და მასწავლებლები კურსდამთავრებულებთან ერთად მალე შეძლებენ ფაბ-ლაბში მუშაობას. ამჟამად, სტუდენტების ნაწილი იყენებს კოლეჯის ტექნიკას და საკუთარი მასალის გამოყენებით ამზადებს სამკაულებს.

მართალია, კოლეჯი იღებს გარკვეულ ინფორმაციას კონკურსებზე, პროექტებსა და გრანტებზე (მაგ: „აწარმოე საქართველოში“), თუმცა ფიქრობენ, რომ მათი სტუდენტები, დაბალი თვითშეფასების გამო, იშვიათად გამოთქვამენ სურვილს, მონაწილეობა მიიღონ მსგავს პროექტებში. ამიტომ კოლეჯის წარმომადგენლების აზრით, უმჯობესია სტუდენტებისთვის უფრო „მარტივი“, მცირემასშტაბიანი და ნაკლებად „საშიში“ პროექტების შემოღება. მათი აზრით, სტუდენტებმა უნდა დაიწყონ ისეთი პროექტებით, რასაც, მათი აზრით, თავს გაართმევენ. მიღებული გამოცდილების საფუძველზე კი ბევრად თავდაჯერებულად მიიღებენ მონაწილეობას უფრო დიდ პროექტებში.

**საკონტაქტო ინფორმაცია:**

- მეწარმეობის მასწავლებელი, ვერა ჯღამაძე – 555 517 539
- ლალი შპეტიშვილი (მეწარმე კურსდამთავრებული) – 555 517 539

**4. საზოგადოებრივი კოლეჯი „განთიადი“**

მისამართი: გორი, ბესიკის ქ. 2

ტელ.: 0(370) 227 871, 577 177 992

კოლეჯი „განთიადი “ერთადერთი პროფესიული დაწესებულებაა შიდა ქართლის რეგიონში. კოლეჯი სტუდენტებს 16 პროფესიულ პროგრამას სთავაზობს. ყველაზე მოთხოვნადი პროფესიული პროგრამების დადგენის მიზნით, კოლეჯმა გამოკითხა შიდა ქართლის რეგიონის კომპანიები. გარდა ამისა, კოლეჯი ითვალისწინებს რეგიონის სტუდენტების მოთხოვნებსაც.

ამჟამად, კოლეჯს **355 სტუდენტი** ჰყავს (სტუდენტების ნაწილი გადის პრაქტიკულ სტაჟირებებს კომპანიებში). კოლეჯის ჰყავს სტუდენტები, რომელთა ერთი ნაწილი უკვე მართავს ბიზნესს, მეორე კი აპირებს ბიზნესის დაწყებას სწავლის დასრულების შემდეგ. სტუდენტების საშუალო ასაკი 20 წელია. პროფესიული პროგრამების ერთი ნაწილი უფრო პოპულარულია მამაკაცებში, მეორე ნაწილი – ქალებში.

**მეწარმეობა** არის სავალდებულო კურსი ყველა პროფესიული პროგრამისათვის. კურსს კვირაში **ერთი საათი** ეთმობა და ორი მასწავლებელი ასწავლის, რომელთაგან ერთს აქვს უმაღლესი განათლება მეწარმეობაში. კურსის სასწავლო სახელმძღვანელო არის *მეწარმოების პრინციპები*. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რეკომენდაციას უწევს კოლეჯს, სასწავლო პროცესში მეტი ყურადღება დაუთმოს ბიზნესის გეგმების შემუშავებას. თუმცა საგანი დროში შეზღუდულია, თეორიულ ნაწილზე გათვლილია 17 საათი, პრაქტიკულ ნაწილს კი მხოლოდ სამი საათი ეთმობა. კოლეჯის წარმომადგენლების განცხადებით, ისინი ვერ გადადიან მოდულურ პროგრამაზე, რადგან კოლეჯს არ აქვს სწავლებისთვის საკმარისი სივრცე (მეწარმეობის მოდულური პროგრამა მოითხოვს მეტ სასწავლო საათებს). კოლეჯმა მოიწვია გერმანელი ექსპერტები, რათა მეწარმეობის პროგრამის სტუდენტებისთვის ლექციები და მასტერკლასები ჩაეტარებინათ.

კოლეჯი ხელს უწყობს სტუდენტებს, სტაჟირება გაიარონ კერძო და საჯარო ორგანიზაციებში. კოლეჯი სხვადასხვა დაწესებულებებიდან (მაგ.: შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან) შემოსული მოთხოვნების საფუძველზე, სპეციალურად მათთვისაც ამზადებს პროფესიონალებს. კოლეჯს ეხმარება სხვადასხვა საერთაშორისო და დონორი ორგანიზაცია (მაგ.: UNDP, USAID). **UNDP-ის** მიერ დაფინანსებული ერთ-ერთი პროექტი ეხმარება კოლეჯის სტუდენტებს. მსგავსი პროექტების ერთი ნაწილი მიზნად ისახავს სტუდენტებისთვის მათთვის **საჭირო ტექნიკის გადაცემას**. მაგ.: ზოგიერთ სტუდენტს გადაეცა საკერავი მანქანები. კოლეჯის წარმომადგენლებს სჭირდებათ მეტი მხარდაჭერა საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციებისგან, რადგან ასეთი ორგანიზაციების მიერ ინიცირებული პროექტები ყურადღებას ამახვილებს მეწარმეობაზე. მაგ.: მათ მიერ დაფინანსებული ბევრი სტუდენტი (რომელთაც საჩუქრად ტექნიკა მიიღეს) უკვე მუშაობენ კერძო შეკვეთებზე.

კოლეჯის წარმომადგენლები იღებენ ინფორმაციას სხვადასხვა კონკურსებსა და პროექტებზე, რომელსაც შემდეგ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს შორის ავრცელებენ. თუმცა, მათი თქმით, ხშირ შემთხვევაში, თვითონ კოლეჯს ინფორმაცია დროულად არ მიეწოდება, რის გამოც სტუდენტები ვერ ასწრებენ პროექტებისთვის მომზადებას.

**საკონტაქტო ინფორმაცია:**

- ხათუნა ხაბელაშვილი (პროექტის „აწარმოე საქართველოში“ მონაწილე ) – 598 282 209

**5. საზოგადოებრივი კოლეჯი „იბერია“**

მისამართი: ქუთაისი, ზ. ანჯაფარიძის ქ. 61

ტელ.: 0(431) 225 562, 577 788 301

კოლეჯი „იბერია“ ამზადებს სტუდენტებს 27 პროფესიულ პროგრამაში და წლიურად 800-1000 სტუდენტს იღებს. კოლეჯი ასწავლის ისეთ სპეციალობებს, როგორიცაა: სოფლის მეურნეობა, საინფორმაციო ტექნოლოგიები, ბიზნესის ადმინისტრირება და ხელოვნება. კოლეჯი სასწავლო პროგრამების შერჩევისას ეყრდნობა ბაზრის კვლევის მონაცემებს, თუ რომელ პროფესიებზეა რეგიონში ყველაზე მაღალი მოთხოვნა. ამჟამად კოლეჯი გეგმავს დუალური პროფესიული განათლების მოდელზე გადასვლას, რომელიც კოლეჯში სწავლასთან ერთად კომპანიებში პრაქტიკის გავლასაც გულისხმობს.

მეწარმეობა სავალდებულოა ყველა პროფესიულ პროგრამაზე. კოლეჯის წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ **მეწარმეობის მოდულის** შემოღების შემდეგ, იმ სტუდენტების რიცხვი, რომლებიც იწყებენ საკუთარ ბიზნესს, გაიზარდა. მეწარმეობის კურსს ესწრება 15-20 სტუდენტი. კოლეჯის წარმომადგენლების აზრით, სტუდენტების მეწარმეობით დაინტერესებას სახელმწიფომ **დაბალპროცენტიანი სესხების** შეთავაზებით უნდა შეუწყოს ხელი.

„იბერიის“ ორმა სტუდენტმა მოიპოვა პროექტის **„აწარმოე საქართველოში“** გრანტი. ერთ-ერთი მათგანი არის დურგალი, რომელიც კერძო შეკვეთებზე მუშაობს. კოლეჯის წარმომადგენლები ფიქრობენ, რომ მსგავსი კონკურსები ზრდის სტუდენტების მოტივაციას, მეტ კონკურსში მიიღონ მონაწილეობა. გარე კონკურების გარდა, კოლეჯი შიდა კონკურსებსაც ატარებს. მაგალითად, 2013 წელს კოლეჯის სტუდენტებმა პროფესიული განათლების პოლონელ სტუდენტებთან ერთად ბიზნესის იდეების კონკურსში მიიღეს მონაწილეობა. გამარჯვებულები სერტიფიკატებით დაჯილდოვდნენ.

კერძო სექტორთან თანამშრომლობა, ძირითადად, სხვადასხვა პროფესიულ პროგრამებთან დაკავშირებული **სტაჟირებებით** შემოიფარგლება, რაც სავალდებულოა ყველა სტუდენტისთვის. კომპანიები, როგორც წესი, თავად უკავშირდებიან კოლეჯს და სთხოვენ, მათთვის მოამზადონ სტუდენტები. კომპანიების ნაწილი თავადაც მონაწილეობს სტუდენტების მომზადების პროცესში და ასაქმებს კიდეც მათ. მაგალითად, სს „ენერგო-პრო ჯორჯია“ კოლეჯის სტუდენტების რეგულარულად სთავაზობს სტაჟირებას, უხდის სტიპენდიებს და ნაწილს ასაქმებს კიდეც. სამეწარმეო განათლების ხელშეწყობის მიზნით, კოლეჯი დროგამოშვებით იწვევს ბიზნესის პროფესიონალებს მოტივაციის ასამაღლებელი ლექციების ჩასატარებლად. კოლეჯის სამეთვალყურეო საბჭოს ერთ-ერთი წევრი თავად არის მეწარმე.

**საკონტაქტო ინფორმაცია:**

- პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სპეციალისტი, ფატი ჯაფარიძე – 577 788 301
- კობა ლილუაშვილი (პროექტის „აწარმოე საქართველოში“ მონაწილე) – 555 524 188
- სულხან ენუქიძე (პროექტის „აწარმოე საქართველოში“ მონაწილე) – 597 509 095

**6. შოთა მესხიას სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერისტეტი**

მისამართი: ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. 14

ტელ.: 577 419 041, 577 440 922

მასწავლებელს, რომელიც შოთა მესხიას სახელობის ზუგდიდის სახლემწიფო სასწავლო უნივერსიტეტში მეწარმეობის მოდულს ასწავლის, აქვს **ეკონომიკის დოქტორის ხარისხი**. ის ერთ-ერთ უნივერსიტეტში ბიზნესის ადმინისტრირებასაც ასწავლის. კითხვაზე, თუ როგორ გამოავლენენ სამეწარმეო უნარ-ჩვევების მქონე სტუდენტებს, კოლეჯის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ აკვირდებიან სტუდენტებს **პრაქტიკული დავალებების შესულებისა** და **დისკუსიების** დროს.

მეწარმეობის მოდული სავალდებულოა, თუმცა კოლეჯის წარმომადგენლების აზრით, სტუდენტების 90%-ს უჭირს მოდულის დაძლევა. მათი თქმით, მეწარმეობის მოდული განსაკუთრებით რთულია მესამე დონის სტუდენტებისთვის (ვინც მხოლოდ საშუალო სკოლის 9 კლასი დაამთავრა). კოლეჯის წარმომადგენლები, ასევე, ფიქრობენ, რომ სტუდენტთა შეფასების არსებულმა სქემამ შეიძლება ნიჭიერ სტუდენტებს მოტივაცია დაუკარგოს. სტუდენტების შეფასება გულისხმობს ჩათვლას ან არჩათვლას. არ არსებობს ქულებით შეფასების სისტემა, რომელიც ერთმანეთისგან განარჩევდა კარგ, საშუალო და ცუდ სტუდენტს. კოლეჯის წარმომადგენლების აზრით, დავალებების ქულებით შეფასება მეტ მოტივაციას მისცემდა სტუდენტებს.

მეწარმოების მოდულის ფარგლებში, სტუდენტები ამზადებენ მათ პროფესიასთან დაკავშირებულ **ბიზნესის გეგმას**. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი პროფესიული პროგრამა არ ხვდება მეწარმეობის კატეგორიაში, სტუდენტებს არ აქვთ უფლება, იმუშაონ ისეთ თემებზე, რაც სცდება მათ პროფესიას.

დამსაქმებლები ხშრად სტუმრობენ უნივერსიტეტს. მაგალითად, „სოკარმა“ შეუკვეთა ტრენინგის კურსი მისი მომავალი თანამშრომლებისთვის. სტუდენტების ნაწილი კომპანიამ მოიყვანა კოლეჯში, ნაწილი კი თვითონ დარეგისტრირდა კურსზე. როგორც წესი, კომპანიები გზავნიან მათთვის საჭირო პროფესიების სიას. სს „ენერგო-პრო ჯორჯია“ ონლაინ ტესტირებას უტარებს სტუდენტებს და სტიპენდიას უნიშნავს მათ, ვინც წარმატებით გაივლის ტესტს.

უნივერსიტეტის წარმომადგენლების განცხადებით, როგორც წესი, მეწარმეობასთან დაკავშირებულ პროექტებსა და კონკურსებზე ინფორმაციას არ იღებენ. სტუდენტებსა და უნივერსიტეტის თანამშრომლებს უწევთ, თავად მოიძიონ ინფორმაცია.

უნივერსიტეტის წარმომადგენლები ფიქრობენ, რომ **მეწარმეობა უნდა ისწავლებოდეს პროფესიული პროგრამის ძირითადი მოდულების** შემდეგ ან პროგრამის მიმდინარეობისას, მას შემდეგ, რაც სტუდენტები შეიძენენ პროფესიასთან დაკავშირებულ გარკვეულ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. ისინი ფიქრობენ, რომ პროფესიული განათლების სტუდენტების ზოგადი განათლების დონე დაბალია. მათი აზრით, საუკეთესო სტუდენტები ძირითადად თბილისში მიდიან სასწავლებლად.

შოთა მესხიას უნივერსიტეტის წარმომადგენლების აზრით, იმისათვის რომ მეწარმეობის სტუდენტებმა დაიწყონ საკუთარი ბიზნესი, **ფინანსურად მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფილნი** უნდა იყვნენ. სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ დაბალპროცენტიანი სესხის აღების საშუალება. მეწარმეობის მოდულის ფარგლებში, სტუდენტები ადგენენ ბიზნესის გეგმას. უნივერსიტეტის წარმომადგენლების აზრით, უმჯობესი იქნება, თუ სტუდენტების დაფინანსება მოხდება მათ მიერ შედგენილ ბიზნესის გეგმაზე დაყრდნობით.

**საკონტაქტო ინფორმაცია:**

- მეწარმეობის მასწავლებელი, მზისადარ ბჟალავა – 558 658 814

**7. პროფესიული კოლეჯი „ფაზისი“**

მისამართი: ფოთი, კონსტიტუციის ქ. 54

ტელ.: (0493) 278 703

კოლეჯი 16 პროფესიულ პროგრამაში ამზადებს სტუდენტებს. ძირითადი მიმართულებებია: ინჟინერია, მომსახურების სფერო, ბიზნესი, საბაჟო და სხვ. კოლეჯს აქვს მეწარმეობის საგანი და მოდული. მეწარმეობის მასწავლებელი უკვე 10 წელია ამ საგანს ასწავლის, ხოლო მოდულური კურსის სწავლებას 2016 წლის აპრილიდან შეუდგა. მასწავლებელს მიაჩნია, რომ მოდულური მეწარმეობის კურსს სტანდარტულთან შედარებით გარკვეული უპირატესობა აქვს. კერძოდ, მოდულური კურსი ითვალისწინებს **მეტ პრაქტიკულ დავალებას**, რაც ბევრ სტუდენტს აინტერესებს. თუმცა ასაკით პატარებს უფროს სტუდენტებთან შედარებით უჭირთ კურსის დაძლევა. მაქსიმალური შედეგის მიღების მიზნით, მასწავლებლები კურსის სწავლებისას იყენებენ ე.წ. მასწავლებელთა გზამკვლევს. მეწარმეობის მოდულს აქვს 5 სასწავლო შედეგი და თითოეულის მიღწევისათვის საჭიროა გარკვეული პრაქტიკული დავალების შესრულება. კურსის საბოლოო პროდუქტი არის ბიზნესის გეგმა. თუმცა, მოდულის სწავლებაში არსებობს გარკვეული ხარვეზებიც. მეწარმეობის მოდულის სრულფასოვანი სწავლებისთვის საჭიროა კომპიუტერული ტექნიკა, რაც ხშირად სტუდენტებს არ აქვთ. კოლეჯის ბიბლიოთეკის კომპიუტერები კი ყველას არ ჰყოფნის.

კოლეჯი ხშირად იწვევს დამსაქმებლებსა და სხვადასხვა კომპანიების წარმომადგენლებს. კოლეჯის პარტნიორია ფოთის პორტი. თუ თავდაპირველად პორტს საკუთარი ტრენინგების ცენტრი ჰქონდა, დღეს თითქმის ყველა მომავალ თუ ამჟამინდელ თანამშრომელს კოლეჯი ამზადებს.

**ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭო** მრავალ პროექტს ახორციელებს კოლეჯში. ერთ-ერთი ასეთი პროექტის ფარგლებში, საუკეთესო ბიზნესის გეგმის ავტორ სტუდენტს ჯილდოს სახით გადაეცა 2,000 ლარი, იმ პირობით, რომ დაიწყებდა ბიზნესს და 2-3 თანაკურსელს დაასაქმებდა. აღნიშნული პროექტი ორი წელი გაგრძელდა. კოლეჯი აწყობს მცირემასშტაბიან **შიდა კონკურსებსაც**. ერთ-ერთ ასეთ კონკურსზე, სახელწოდებით „იდეა“, სტუდენტები წარადგენენ ბიზნესის იდეებს, ჟიური კი არჩევს მათგან ყველაზე რეალისტურებს.

**UNDP**-ს ერთ-ერთი პროგრამის ფარგლებში, კოლეჯში დაარსდა ბიზნესის ინკუბატორები. ორი მცირე საწარმო დარეგისტრირდა როგორც ინდივიდუალური მეწარმე, რომელშიც კოლეჯის სტუდენტებთან ერთად მუშაობენ გარეშე პირებიც. კოლეჯი ეხმარებოდა მონაწილეებს განათლების კუთხით. ორიდან ერთ-ერთმა პროგრამამ დაასაქმა **ელექტრიკოსები.** კოლეჯის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ UNDP მოითხოვა პროგრამაში გოგონების მონაწილეობა. მართალია ქალები ჩართეს პროგრამაში, მაგრამ მან ვერ იმუშავა, რადგან არავის არ უნდა ქალი ელექტრიკოსების დასაქმება.

UNDP-ის პროექტების ფარგლებში, კოლეჯმა, კონსულტაციებისა და კომპიუტერის შემსწავლელი კურსების ჩატარების მიზნით, მოიწვია **ბიზნესის კონსულტანტები და წარმომადგენლები.** დაახლოებით 1,000 ადამიანმა გაიარა ეს კურსები. 30 მონაწილემ დაიწყო საკუთარი ბიზნესი. თუმცა ეს პროგრამა არ იყო განკუთვნილი მხოლოდ კოლეჯის სტუდენტებისთვის, მონაწილეთა უმეტესობა გარეშე პირი იყო. პროგრამა ორი წელი გაგრძელდა. კოლეჯის წარმომადგენლები ფიქრობენ, რომ მეწარმეობის ხელშეწყობის თვალსაზრისით, ეს პროექტი ყველაზე წარმატებული იყო და სასურველია, კიდევ ჩატარდეს. ამასთანავე, მათი განცხადებით, ბიზნესის ინკუბატორებიც კარგად იმუშავებენ, თუ, სტუდენტებთან ერთად, გარეშე პირებსაც მიეცემათ მათით სარგებლობის შესაძლებლობა.

რაც შეეხება ინფორმაციას გარე პროექტებსა და კონკურსებზე, კოლეჯის წარმომადგენლები აცხადებენ რომ, ხშირ შემთხვევაში, ვერ იღებენ ინფორმაციას. როცა კი იღებენ აღნიშნული ინფორმაცია, აწვდიან სტუდენტებს, თუმცა ამ უკანასკნელთ, როგორც წესი, არ სურთ მონაწილეობის მიღება.

**საკონტაქტო ინფორმაცია:**

- კოლეჯის დირექტორი, ნინო ბაკურაძე – 595 515 515, 577 571 151

**8. საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღა“**

მისამართი: ქობულეთი, რუსთაველის ქ. 154

ტელ.: (0426) 266 851, 577 177 948

კოლეჯს შეუძლია ყველა პროგრამაზე მაქსიმუმ 900 სტუდენტი მიიღოს. უმაღლეს, მეხუთე დონეზე უმეტესად საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები სწავლობენ. სტუდენტთა საშუალო ასაკი 20 წელია. კოლეჯი პროფესიებს დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზის საფუძველზე არჩევს. კოლეჯში არსებობს **ბიზნესის საბჭო**, რომლის მიზანია დამსაქმებლებთან შეხვედრა, მათი მოსაზრებების მოსმენა და სტუდენტების მომზადება, მათი მოთხოვნების გათვალისწინებით, რაც შეიძლება ნიშნავდეს სასწავლო კურსების დამატებას ან მოდიფიკაციას. საბჭოში ჩართული არიან მასწავლებლები, რომლებიც ითვალისწინებენ დამსაქმებელთა იდეებს. ბევრი მასწავლებელი პრაქტიკოსიცაა.

კოლეჯს აქვს მეწარმეობის საგანიცა და მოდულიც. სტუდენტებისთვის მოდული უფრო საინტერესოა. 9 კლასდამთავრებულ სტუდენტებს უჭირთ მოდულის დაძლევა. კოლეჯის წარმომადგენლები ფიქრობენ, რომ უმჯობესია მოდული გამარტივდეს, განსაკუთრებით მცირეასაკოვანი სტუდენტებისათვის. მეწარმეობის მასწავლებელი თვლის, რომ **პრაქტიკული დავალებები** ჯგუფურად უნდა კეთდებოდეს და არა ინდივიდუალურად, რადგან სტუდენტები სუსტები არიან და ჯგუფში უკეთ იმუშავებენ. მასწავლებლის აზრით, მეწარმეობის ნიჭისა და უნარ-ჩვევების მქონე სტუდენტების შერჩევა ყველაზე კარგად მათთან ყოველდღიური ინტერაქციის პროცესში შეიძლება.

სტუდენტებს, როგორ წესი, არ აინტერესებთ კოლეჯს გარეთ მეწარმეობის პოექტებსა და კონკურსებში მონაწილეობა. სკოლის 9 კლასდამთავრებული სტუდენტები, დიდი ალბათობით, ვერ შეძლებენ ბიზნესის გეგმის დაწერას, მოდულური პროგრამის დახმარებითაც კი. გარდა ამისა, თითქმის არცერთი პროფესიული პროგრამის სტუდენტები არ თვლიან თავს მეწარმეებად, რადგან ვერ ხედავენ კავშირს მათ პროფესიასა და მეწარმეობას შორის.

კოლეჯის წარმომადგენლები ფიქრობენ, რომ სტუდენტებში მეწარმეობის სურვილის გაძლიერებაზე დადებითად იმოქმედებს **კოლეჯებს შორის ბიზნესის კონკურსების** მოწყობა, სადაც სტუდენტები შეიმუშავებენ ბიზნესის იდეებსა და გეგმებს.

კოლეჯის წარმომადგენლები ფიქრობენ, რომ სასურველია, სტუდენტებმა მოინახულონ კომპანიები და მეწარმეები და დააკვირდნენ, როგორ მუშაობს ნამდვილი ბიზნესი. მაგალითად, საჭიროა, სტუდენტები მივიდნენ იუსტიციის სახლებში და გაეცნონ ბიზნესის დარეგისტრირების პროცესს.

სტუდენტებს არ შეუძლიათ მათ მიერ ნაწარმოები პროდუქციის (მაგ.: კოლეჯში სწავლისას გამოცხობილი ნამცხვრების) გაყიდვა. მეწარმეობის მასწავლებელი ფიქრობს, რომ სტუდენტები გაცილებით მეტს ისწავლიან მეწარმეობაზე, თუ შეეძლებათ საკუთარი ნაწარმის ბაზარზე გატანა.

კოლეჯი ცდილობს, ხელი შეუწყოს სტუდენტებს უფრო პრაქტიკული გამოცდილების მიღებაში. ამ მიზნით **კოლეჯის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს სასტუმრო**. სასტუმროს საქმიანობას მთლიანად ტურიზმის პროგრამის სტუდენტები უძღვებიან (სტუდენტები პასუხისმგებელნი არიან შესყიდვებზე, სტუმრების მიღებაზე და ა.შ). ამ პროექტის ერთადერთი უარყოფითი მხარე ისაა, რომ კოლეჯს არ აქვს უფლება, მიიღოს ინდივიდუალური სტუმრები. სასტუმრო არა არის კომერციული, ამიტომ კოლეჯმა მონაწილეობა უნდა მიიღოს ტენდერებში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და უმასპინძლოს ვიზიტორებს ჯგუფურად. პარალელურად იგი საკუთარ საქმიანობაზე ანგარიშვალდებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წინაშე. ვიზიტორებისგან შემოსული თანხა ხმარდება კოლეჯის საჭიროებებს (მაგ.: აღჭურვილობის შეძენა).

**საკონტაქტო ინფორმაცია:**

- კოლეჯის დირექტორი, დავით მჭედლიშვილი – 577 507 979

**9. პროფესიული კოლეჯი „ ბლექსი“**

მისამართი: ბათუმი, ლერმონტოვის ქ. 84

ტელ.: 0(422) 247 750, 577 177 922

კოლეჯი „ბლექსი“ ერთადერთი საჯარო პროფესიული კოლეჯია ბათუმში. კოლეჯის პროფილი არის ტურიზმი, სოფლის მეურნეობა და ა.შ. ერთ მიღებაზე, კოლეჯი მაქსიმუმ 600 სტუდენტს იღებს.

გარდა იმისა, რომ ყველა პროფესიის სტუდენტისათვის მეწარმოება სავალდებულო მოდულია, კოლეჯს ცალკე აღებული **მეწარმოების პროფესიული პროგრამაც** აქვს. კოლეჯი მიიჩნევს, რომ ბიზნესის ინკუბატორები, კონკურსები და სტუდენტური კომპანიები არის სტუდენტებში მეწარმეობის მოტივაციის გაძლიერების ყველაზე ეფექტური გზა.

კოლეჯი სხვადასხვა კომპანიებს სთავაზობს ტრენინგების კურსებს. რამდენიმე კომპანიის წარმომადგენლები არიან კოლეჯის **სამეთვალყურეო საბჭოს** წევრები. დამატებითი სასწავლო პროფესიების შესახებ ინფორმაციის შეგროვების მიზნით, კოლეჯი პარტნიორ კომპანიებს უგზავნის წერილს. შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე ხდება გარკვეული პროფესიული პროგრამების დამატება/ამოღება.

მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტებს შეუძლიათ დასაქმდნენ, დაბალი ხელფასების გამო, ბევრს ურჩევნია სახლიდან იმუშაოს კერძო შეკვეთებზე (მაგ.: სტუდენტებს, რომლებიც კერავენ). მსგავს შემთხვევებში, სტუდენტები იშვიათად რეგისტრირდებიან ინდივიდუალურ მეწარმეებად.

**საკონტაქტო ინფორმაცია:**

- დირექტორი, გიორგი გოგიტიძე – 577 544 457

## კერძო პროფესიული განათლების დაწესებულებები

1. **საქართველოს ბიზნესის აკადემია**

მისამართი: თბილისი, რუსთავის გზატკეცილი 18/22

ტელ.: 2 403 440

საქართველოს ბიზნესის აკადემია, რომელსაც კახაბერ ერაძე ხელმძღვანელობს, არის კერძო კოლეჯი, რომელსაც აქვს პროფესიული განათლების კურსები შემდეგი მიმართულებებით: საბაჟო საქმე, მცირე ბიზნესის მართვა, ოფისის მართვა, აუდიტორის ასისტენტობა, ბანკის ოპერატორი, ტრანსპორტის ლოჯისტიკა, უძრავი ქონების შეფასება, საბავშვო ბაღის მასწავლებელი და ა.შ. ამ პროგრამებს შორის მხოლოდ მებაჟეა მოდულური პროგრამა. აკადემია იღებს მხოლოდ საშუალო სკოლის კურსდამთავრებულებს. სწავლის გადასახადი 2,100-დან 2,500 ლარამდე მერყეობს. მასწავლებლების საათობრივი ხელფასი 15 ლარია (აკადემიის წარმომადგენელთა ინფორმაციით, საჯარო კოლეჯებში საათობრივი ანაზღაურება 8 ლარია).

გარდა პროფესიული პროგრამებისა, აკადემია ბიზნესის ადმინისტირების საბაკალავრო პროგრამასაც სთავაზობს. ვინაიდან სტუდენტების ერთი ნახევარი აფრიკიდან და აზერბაიჯანიდან არის, პროგრამა ინგლისურ ენაზეც ისწავლება. პროფესიულ პროგრამებზე სწავლობს 78 სტუდენტი, საბაკალავრო პროგრამაზე – 46.

მეწარმეობა ისწავლება მხოლოდ მებაჟის მოდულურ პორგრამაზე. კურსის სწავლების პრაქტიკული ნაწილი გულისხმობს ბიზნესის გეგმის დაწერას. სტუდენტის მიერ მოფიქრებული ერთ-ერთი საუკეთესო იდეა გულისხმობდა შინაური ცხოველების სასტუმროს გახსნას, სადაც ადამიანები შეძლებდნენ არდადეგების დროს საკუთარი ცხოველების დატოვებას. აკადემია არ ეხმარება სტუდენტებს იდეების ხორცშესხმაში. მართალია აკადემია საკუთარ სტუდენტებს აწვდის ინფორმაციას კონკურსებზე (მაგ.: **„სტარტაპ მარანი“**), ხელმძღვანელობა ფიქრობს, რომ ისინი ასეთი კონკურსებისთვის მზად არ არიან.

აკადემიის ხელმძღვანელობას მოსწონს მეწარმეობის მოდული. მათი აზრით, ის ახალისებს სტუდენტებს, კერძო ბიზნესის დაწყება განიხილონ შესაძლო ალტერნატივად. ზოგიერთი მათგანი ფიქრობს მშობლების მიერ მართული **ოჯახური ბიზნესის** განვითარებას (მაგ.: გადაამუშავონ და ექსპორტზე გაიტანონ თავიანთ ფერმაში მოყვანილი თხილი).

მეწარმეობის მასწავლებელი აკადემიის მენეჯმენტში მუშაობდა და კახაბერ ერაძესთან ერთად *მეწარმოების* სახელმძღვანელოს (ხელმისაწვდომია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებ-გვერდზე) თანაავტორია.

**საკონტაქტო ინფორმაცია:**

- რეზო კონცელიძე (მეწარმე კურსდამთავრებული) – 555 812 266
- დავით შავიშვილი (მეწარმე კურსდამთავრებული) – 593 333 176

**2. ინტერბიზნესის აკადამია (კერძო კოლეჯი)**

მისამართი: თბილისი, შალვა ჯაფარიძის ქ. 8

ინტერბიზნესის აკადემია სტუდენტებს სთავაზობს შემდეგ პროფესიულ პროგრამებს: ოფისის მენეჯერი, ბუღალტერი, კრიმინოლოგი, ფარმაცევტი, ექთანი და საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციალისტი. აკადემიის წარმომადგენლის თქმით, კოლეჯი, „ვისოლ-ჯგუფსა“ და „ავერსთან“ თანამშრომლობით, **დუალურ პროფესიულ პროგრამებს** სთავაზობს თავის სტუდენტებს. კოლეჯი ქირაობს ამ კომპანიების ტრენერებსა და ინსტრუქტორებს. ექთნები, რომლებიც ავერსის კლინიკაში მუშაობენ, ამზადებენ კოლეჯის სტუდენტებს როგორც თეორიაში, ასევე პრაქტიკაში. 18 თვის შემდეგ, სტუდენტები აგრძელებენ სტაჟიორებად მუშაობას. სასწავლო პროცესში კოლეჯის როლი იმ საგნების სწავლებაა, რომლებიც არ არის პირდაპირ კავშირში ექთნის პროფესიასთან (მაგ.: ინგლისური ენა). კოლეჯი ამჟამად არ ასწავლის მეწარმეობის კურსს. თუმცა სამომავლოდ გეგმავს მის სწავლებას.

**საკონტაქტო ინფორმაცია:**

- დირექტორი, ინგა მანაშერიძე - 032 2615423

**3. საზოგადოებრივი კოლეჯი „პანაცეა“ (კერძო კოლეჯი)**

მისამართი თბილისი, ერისთავის ქ. 2

ტელ.: 2 660 402, 2 345 863

საზოგადოებრივი კოლეჯი „პანაცეა“ კერძო კოლეჯია, სადაც სწავლის საფასური 1,500 ლარია. სტუდენტების ასაკი 15-დან 60 წლამდე მერყეობს, თუმცა უმრავლესობა 18-დან 25 წლამდეა. სტუდენტების მიღება შიდა ინტერვიუების საფუძველზე ხდება.

კოლეჯი სპეციალიზდება ჯანდაცვის პროგრამებში. ამჟამად ისწავლება 6 (მოდულური) პროგრამა. სტუდენტებს შორის ყველაზე პოპულარული კურსია პრაქტიკოსი ექთანი. ექვსი პროფესიიდან მხოლოდ ორში არის თვითდასაქმების პოტენციალი. ესენია „კბილის ტექნიკოსი“ და „მასაჟის სპეციალისტი“.

კოლეჯი **საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის** წევრია, რომელიც 2013 წელს დაარსდა. ასოციაცია დამაკავშირებელი რგოლია მთავრობასა და კერძო კოლეჯებს შორის და ხელს უწყობს მათ შორის აქტიურ კომუნიკაციას. ასოციაციის ფარგლებში, კოლეჯების წამრმომადგენლები ყოველთვიურად ატარებენ შეხვედრებს და იხდიან საწევრო შენატანს (360 ლარი თვიურად). ასოციაციას მეწარმეობის მოდულთან დაკავშირებით დისკუსია ჯერ არ გაუმართავს.

დღეისათვის „პანაცეაში“ მეწარმეობის კურსი არ ისწავლება. თუმცა 2019 წლიდან კოლეჯი გეგმავს მოდულური კურსის შემოღებას. მასწავლებელს, რომელმაც კურსი უნდა ასწავლოს, აქვს საკუთარი მცირე ბიზნესი. იგი აფთიაქის მესაკუთრეა.

კოლეჯი მთავრობისაგან დაფინანსებას არ იღებს. კოლეჯის წარმომადგენლები ფიქრობენ, რომ საჯარო დაფინანსებას მხოლოდ საჯარო კოლეჯები იღებენ, რაც ამცირებს კერძო კოლეჯებში სწავლის მსურველთა რაოდენობას.

**არათანაბარ პირობებში მყოფი კერძო და საჯარო პროფესიული განათლების დაწესებულებები**

საჯარო კოლეჯებისგან განსხვავებით, კერძო კოლეჯების სტუდენტებს არ უწევთ ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარება, რადგან სახელმწიფო ვაუჩერს არ იღებენ. გარდა ამისა, კოლეჯები სახლემწიფოსგან არც სხვა სახის დაფინანსებას იღებენ (მაგ.: ინვენტარის შესაძენად). ბოლო წლებში კერძო პროფესიული განათლების დაწესებულებები ცდილობენ, მოიპოვონ იგივე სტატუსი, რაც საჯარო კოლეჯებს აქვთ. მათთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მათ სტუდენტებს ჰქონდეთ სახელმწიფო გრანტები. სახელმწიფო დაფინანსების გარეშე, კერძო კოლეჯებში სწავლის მსურველთა რიცხვი მცირეა. თუმცა, საჯარო დაფინანსების მიღების უფლების მოპოვების შემთხვევაშიც კი, კერძო კოლეჯები კვლავ გააგრძელებენ ისეთი სპეციალობების შეთავაზებას, როგორიცაა: ოფისის მენეჯერი, ექთანი, კრიმინოლოგი, საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციალისტი, ბუღალტერი და ა.შ. ეს სპეციალობები კი ნაკლებად რელევანტურია მეწარმეობისთვის. სამეწარმეო საქმიანობისთვის შესაფერის სპეციალობებში (მაგ.: ფერმერობასა და ხელოსნობაში) მომზადება ბევრად უფრო ძვირი ჯდება და, შესაბამისად, ნაკლებად მიმზიდველია კერძო (მოგებაზე ორიენტირებული) პროფესიული განათლების დაწესებულებებისთვის.

## კახაბერ ერაძის ინტერვიუს შეჯამება

კახაბერ ერაძე განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის პროგრამის მენეჯერია. იგი არის **მეწარმეობის მოდულის თანაავტორი** და **საქართველოს ბიზნესის აკადემიის** რექტორი. ჩვენ ბატონ კახას მეწარმეობის მოდულის შემუშავებისა და განხორციელების პროცესზე ვესაუბრეთ.

კერძო სექტორის წარმომადგენლები, მაგ.: მცირე და საშუალო მეწარმეები, ჩართულნი იყვნენ მოდულის შემუშავებაში. კერძოდ, მათი მონაწილეობით განისაზღვრა სასწავლო შედეგები (ის კომპეტენციები და ცოდნა, რომელსაც სტუდენტი მიიღებს მოდულის შესწავლისას).

დღეს მოდული ისწავლება არამხოლოდ პროფესიული განათლების დაწესებულებებში, არამედ ციხეებშიც. მეტიც, როგორც საპილოტე პროგრამა, მოდული რაჭის რეგიონშიც დაინერგა, რათა ადგილობრივებმა შეძლონ საკუთარი ბიზნესის დაწყება.

რაც შეეხება სასწავლო მასალას, მეწარმეობის მასწავლებლები სასწავლო ლიტერატურის არჩევაში თავისუფალნი არიან. მთავარია, არჩეული ლიტერატურით მიღებული ცოდნა და კომპეტენციები თანხვედრაში იყოს მოდულით განსაზღვრულ სასწავლო შედეგებთან. კახა ერაძემ, თავის კოლეგებსა და მეწარმეობის მასწავლებლებთან ერთად, შეიმუშავა **მასწავლებლის გზამკვლევი** რომელშიც შესულია პრაქტიკული დავალებები.

მეწარმეობის მოდულში სტუდენტთა შეფასება „ჩათვლა/არჩათვლა“ სქემაზე დაყრდნობით ხდება. კახაბერ ერაძის განცხადებით, პროფსიულ განათლებაში ქულებით შეფასების სისტემის დანერგვა შეუძლებელია, მიუხედავად იმისა, რომ შეფასების ასეთმა სისტემამ შეიძლება გაზარდოს სტუდენტების მოტივაცია.

მიმდინარეობის მოდულის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და მას შემდეგ, რაც ყველა დაწესებულება პირველად დაასრულებს მოდულის სწავლებას, მეწარმეობის მასწავლებლებთან გაიმართება შეხვედრა, რათა განიხილონ გამოვლენილი პრობლემები. სტუდენტებსაც მიეცემათ აზრის გამოთქმის საშუალება. ამ დროისთვის ერაძისთვის უკვე ცნობილია, რომ მესამე დონის სტუდენტებს უჭირთ მოგებაზე ორიენტირებული ბიზნესის გეგმის დაწერა. შესაბამისად, მოდულის მოთხოვნების შეცვლაზე საუბარი უკვე მიმდინარეობს. მაგალითად, დაგეგმილია, რომ მესამე დონის სტუდენტებმა იმუშაონ **კულტურული და/ან სოციალური მნიშვნელობის** ბიზნესის იდეებზე.

კიდევ ერთი ყურადსაღები გარემოებაა ის, რომ მინი-კომპანიები, რომლებიც ფუნქციონირებენ პროფესიული განათლების დაწესებულებებში, არ ყიდიან მათ მიერ წარმოებულ პროდუქციას. ერაძის განცხადებით, მინი-კომპანიებს აქვთ უფლება, ეწეოდნენ არაკომერციულ საქმიანობას. თუმცა, მისივე განცხადებით, პროფესიული სასწავლებლების დირექტორებს ეშინიათ, რომ „სახელმწიფო აუდიტის სამსახური“ მკაცრად შეამოწმებს. ამიტომ მინი-კომპანიებისთვის არაკომერციული სტატუსის შენარჩუნებით, ისინი ცდილობენ, თავიდან აიცილონ ზედმეტი პრობლემები.

ბოლო და მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელზეც ერაძემ გაამახვილა ყურადღება, არის პროფესიული განათლების დაწესებულებებსა და სახელმწიფოს შორის თანამშრომლობის ნაკლებობა. პროფესიული განათლების დაწესებულებები ხშირად სახელმწიფოს აღიქვამენ, როგორც ინპექტორს და ამიტომ გულწრფელად არ საუბრობენ პრობლემებზე.

## ავსტრალიის პროფესიული განათლების სისტემის ექსპერტთან, ენტონი ტაირელთან ინტერვიუს შეჯამება

ენტონი ტაირელი შეეხო საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის რამდენიმე საკითხს:

- საუკეთესო პროფესიული განათლების დაწესებულებები ძირითადად თბილისშია თავმოყრილი;
- პროფესიული განათლება სტუდენტებისა და მათი მშობლებისთვის მეორეხარისხოვანი ალტერნატივაა. სწორედ ამიტომ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი ძირითად აქცენტებს მაღალი დონის კვალიფიკაციებზე აკეთებს;
- მასწავლებლების კვალიფიკაცია არასახარბიელოა. ისინი ასწავლიან ავადსახსენებელი საბჭოთა სახელმძღვანელოებით. თუმცა გვხვდება კარგი და ინოვაციური მაგალითებიც;
- პარტნიორობა პროფესიული განათლების დაწესებულებებსა და ბიზნესებს შორის კვლავ მყიფეა. ბიზნესები წარმოდგენილი უნდა იყოს მმართველ საბჭოებში, კოლეჯის მენეჯმენტის მრჩევლებად. ბიზნესებს საშუალება უნდა ჰქონდეთ, დაარეგისტრირონ საკუთარი პროფესიული კოლეჯები;

- პროფესიული განათლების დაწესებულებებს საკმარისი მოქნილობა აქვთ სპეციალობებისა და სასწავლებელი უნარ-ჩვევების ერთმანეთთან მისადაგებაში. მოდულური მიდგომა სწორედ ამ უკანასკნელს ეხება. საქართველოში ამ მოქნილობის გამოყენება ისევ ერთ-ერთ გამოწვევად რჩება.
- ცალკე სწავლების ნაცვლად, ზოგადი უნარ-ჩვევები (მაგ.: კომუნიკაცია, მეწარმეობა) არსებული პროგრამების ნაწილი უნდა გახდეს;
- ათასწლეულის გამოწვევის ფონდი პროექტის – „პროფესიული განათლების მიმწოდებელთა პრაქტიკის გაუმჯობესება“ – ფარგლებში გასცემს გრანტებს 10,000 ამერიკული დოლარის ოდენობით, რომლითაც შეიძლება დაფინანსდეს სამეწარმეო განათლება. საგრანტო განცხადებების მიღების შემდეგი რაუნდი დაიწყება 6 თვეში;
- სამეწარმეო განათლების სამიზნე ჯგუფად შეიძლება განვიხილოთ უნივერსიტეტების კურსდამთავრებულებიც, ვინც ვერ დასაქმდა მისთვის სასურველ პოზიციაზე.